გაზეთი ბოლოსია, „ბოლოსია“ ერთი

ბოლოს

ფასი 50 თეთრი

№122 (1017) 10 – 11 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„შაშკინის ფავორიტების“ ნამდვილი სახე

ვინ არიან ცარას შავშიშვილი, მარიამ რამინაშვილი, დავით ლაგვილავა და დავით ფერაძე და რაფომ ებრძვიან განათლების სამინისტროს გვ. 9



ირაკლი ღარიბაშვილი

„ჩემი მთავარი დასაყრდენია ჩემი სიმართლე, რითაც აქამდე მოვედი ცხოვრებაში. მე ასე ვმუშაობ. მინდა, დავამშვიდო ადამიანები, რომლებიც ფარისევლურად ღელავდნენ, თითქოს საყრდენი გამომაცალეს. მე ძალიან მყარად ვდგავარ“ გვ. 3

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ზალკალიანთან

„არასოდეს მიმიღია მითითება, დასავლეთთან ინტეგრაციის კუთხით ნაკლები გვემუშავა, პირიქით!“ გვ. 6

„საქათმისთვის“ განწირული „პუტიოვის“ შურისძიება

როგორ იყარა ჯავრი „შავ სამყაროზე“ „ქურდობაზე“ გვ. 7

მეოცნებე პატიმარმა

პატიმრის დღიური

პრემიერ-მინისტრის პირველი განცხადება ლარის კურსსა და საკადრო ცვლილებებზე

სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა არ გაძვირდება!

გვ. 4

რაფომ შეიქმნა პანიკა და რაფომ მიიღეს მძღოლებმა თვითნებური გადაწყვეტილება

„რეალურად არც ვიცით, რა საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მდინარეები“

რაფომ დაიწია წყლის დონემ მტკვარში, რაფომ მოიხადა ბოდიში თურქულმა მხარემ და მიადგა თუ არა საქართველოს ეკონომიკური ზარალი გვ. 8

როგორ მოხვდა ელექტროენერგიის ტრანსპორტირების სქემაში პარლამენტარის კომპანია „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“?

ექსკლუზივი

გვ. 5

თურქეთში რუსულ დენს საქართველოს გავლით დავით ბეჟუაშვილი გაყიდის

სვირინგი – ესთეტიკა თუ ინფექციის წყარო

გვ. 8

რაფომ არ კონტროლდება ტატუსალონები საქართველოში

შსს-ს წარმომადგენლებმა სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სოციალური კამპანია გააცნეს

შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სოციალურ კამპანიას – „არა ძალადობას!“ ამჯერად სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გაეცნენ. შეხვედრა ივანე სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა და მას შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები დაესწრნენ.

შსს-ს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრებმა: შსს-ს აკადემიის საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსმა, ნოდარ სააკაშვილმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველმა ახალგაზრდულ საკითხებში ოთარ აბესაძემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ფსიქოლოგმა ელენე სამუშიამ, ასევე ფსიქოლოგებმა — თამარ ისაკაძემ და თეა გოგოტიშვილმა სტუდენტებს კამპანიის მიზანი და მნიშვნელობა გააცნეს. შეხვედრას სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი რეზო კიკნაძე და სამხატვრო აკადემიის რექტორი გია გუგუშვილი დაესწრნენ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა სტუდენტებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონში შესული ცვლილებები გააცნეს და განუმარტეს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან. 2013 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია და ოჯახში ძალადობა უკვე 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა სტუდენტებს კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლები აჩვენეს. აღნიშნული ვიდეორგოლების მიზანი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე — „112“ ან მიმართონ უბნის ინსპექტორს. მოძალადეებმა უნდა მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება. შეხვედრის ბოლოს სოციალური კამპანიის სამუშაო ჯგუფის წევრებმა მოსწავლეების კითხვებს უპასუხეს და მათი მოსაზრებები მოისმინეს.

შსს-მ სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით მოხდება საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.

კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ყოველდღიურად იმართება.

„ვერსიანიუსი“

9-10 დეკემბერს ჟენევაში საერთაშორისო დისკუსიების 30-ე რაუნდი გაიმართება

დისკუსიებზე ჰუმანიტარულ საკითხებზე მომუშავე — მეორე სამუშაო ჯგუფს შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი უხელმძღვანელებს. ციხელაშვილის განცხადებით, ჰუმანიტარულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრაზე ცენტრალურ საკითხად კვლავ დევნილთა დაბრუნების თემას განიხილავენ. ჯგუფის სხდომაზე ქართული მხარე ასევე დააყენებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის გალისა და ახალგორის რაიონებში ადამიანის უფლებების შელახვის, გადაადგილების თავისუფლების, უკანონო დაკავებების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვის და შექმნილი კრიმინალური მდგომარეობის საკითხებს.

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, ქართული მხარე ასევე ისაუბრებს ახალგორის გაზმომარაგების პრობლემაზე. მეორე სამუშაო ჯგუფში ქართული დელეგაციის წევრები კულტურული მემკვიდრეობის საკითხების განხილვასაც გეგმავენ.

დისკუსიების 28-ე რაუნდზე ასევე დადგება რუსეთსა და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას შორის 24 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც ქართული მხარე ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს. ქართული დელეგაცია მოუწოდებს დასავლელ პარტნიორებს, მოახდინოს ზეწოლა რუსეთზე, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

„პირველი“

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 5 პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა

სახელმწიფო ქონების მოტყუებით მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ შპს NBG-ის დირექტორები — ნუგზარ ენდელაძე და ალექსანდრე ხურციძე, ასევე დევნილთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები თეიმურაზ მაღალდაძე, რატი სვანიძე და ამირან გოგიძე. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით: **„დადგენილია, რომ შპს NBG-ს ხელმძღვანელები, ლტოლვილთათვის ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პროცესში, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხის ნაწილს — 1 081 611 ლარს. გარდა ამისა, სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილება, არ შეამოწმეს სამშენებლო სამუშაოები და ყალბი აქტები დაადასტურეს ხელმოწერით. ლტოლვილთა სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა გამოიჩინა სამსახურებრივი გულგრილობა და სამინისტროს სასარგებლოდ არ მოითხოვა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია — 211 200 ლარი, რითაც სამინისტროს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა“.**

საქმეზე გამოძიება სსკ-ს 180-ე, 332-ე, 342-ე და 362-ე მუხლით გრძელდება.

„პირველი“

ბაბუშერას ტრაგედიის დროს დაღუპული 4 ქართველი სამხედრო პატივით დაკრძალეს

დაკრძალვის ცერემონია დიღმის ძმათა სასაფლაოზე გაიმართა, მანამდე კი, სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში მიმდინარეობდა.

დაკრძალვის ცერემონიას, ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

დიღმის ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მან დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგო. პრემიერის თქმით, დღევანდელი მთავრობის დამსახურებაა, რომ განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ აფხაზებთან გართულებული ურთიერთობის ფონზე აფხაზურ მხარესთან პირდაპირი დიალოგის საშუალებით 30 გმირის გადმოსვენება მოხდა. პრემიერმა ამ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს მადლობა გადაუხადა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით დევნილთა და განსახლების მინისტრმა მიმართა, რომლის უწყება აქტიურად იყო ჩართული ცხედრების გადმოსვენების პროცესში.

სუბარის თქმით, მისთვის ძალიან მძიმეა, როდესაც ერთი ოჯახის 4 წევრი ერთდროულად მიებარება მიწას.

დაკრძალვის ცერემონიალზე შესრულდა საქართველოს ჰიმნი. თბილისში 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დაღუპული 4 ქართველის ცხედარი გადმოასვენეს. ესენი არიან — ვასიკო და ნუკრი წიკლაურები და თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილები.

„პირველი“

პრეზიდენტმა ზურაბ ჟვანია წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა

გიორგი მარგველაშვილმა ჯილდო ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებს გადასცა. პრეზიდენტის სასახლეში ზურაბ ჟვანიას მეუღლე ნინო ქადაგიძე, ქალიშვილი ანა ჟვანია, დედა რემა ჟვანია და ძმა გოგლა ჟვანია იმყოფებოდნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა ზურაბ ჟვანია სიკვდილის შემდეგ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის, საქართველოს ევროინტეგრაციისა და ქართული პარლამენტარიზმის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვა.

საქართველოს პრეზიდენტმა დიდუბის პანთეონში კიდევ ერთხელ მიაგო პატივი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინიტრის, სახელმწიფო მოღვაწისა და მეგობრის ზურაბ ჟვანიას ხსოვნას. ზურაბ ჟვანიას 9 დეკემბერს 51 წელი შეუსრულდებოდა.

„პირველი“

შსს-მ ფოთში მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ფოთის საქალაქო სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ნიკა ზ, 1994 წელს დაბადებული ნუგზარ გ. და 1987 წელს დაბადებული ირაკლი ჟ. ძარცვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა 30 ნოემბერს, გვიან ღამით, ფოთში, ძალის გამოყენებით შეაღწიეს ცისანა კ-ს ბინაში. მათ ბინის პატრონსა და მის ქალიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 2400 აშშ დოლარს და 12 857 ლარად შეფასებულ ოქროს სამკაულებს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების დაკავებისას ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, გატაცებული ოქროული და თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში შეღწევით, ძალადობით ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 178 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

პრემიერ-მინისტრის პირველი განცხადება ლარის კურსსა და საკადრო ცვლილებებზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

9 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში საგანგებო ბრიფინგი გამართა და სამთავრობო ცვლილებებსა და ლარის კურსზე ისაუბრა. მთავრობის მეთაურმა ისიც განმარტა, რომ ბოლო დროს, მთავრობის ქვედა რგოლში განხორციელებული ცვლილებები ხელისუფლების უფრო ეფექტურ მუშაობას, ხოლო ლარის კურსის ვარდნა — გარე ფაქტორებს უკავშირდება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ლარმა უკვე დაიწყო გამყარება და 9 დეკემბრის მონაცემებით, ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლართან მიმართებაში 1.92, ხოლო ბაზარზე 1.88-1.87 ლარი იყო. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მსოფლიოში დოლარი თითქმის ყველა ვალუტის, მათ შორის, ევროს მიმართ გამყარდა: **„უნდა აღინიშნოს რეგიონში არსებული რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენს სავაჭრო ბალანსზე. ეს იყო ის ძირითადი საგარეო ფაქტორები, რამაც ზეგავლენა იქონია ლარის კურსზე. ჩვენმა ოპონენტებმა საგანგებოდ, მიზანმიმართულად და ხელოვნურად რომ შექმნეს აჟიოტაჟი, საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ლარის კურსზე. ასეთი სწრაფი ტემპით, არაადეკვატური გაცვლა სწორედ ამას უკავშირდება. ჩვენი ოპონენტები და ზოგიერთი ექსპერტი ამბობდა, თითქოს, ლარის კურსის გაუფასურება ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია. დღეს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე გამოქვეყნებული მონაცემებიც ცხადყოფს, რომ ეს მიზანმიმართული ტყუილი იყო, რათა მოსახელება შეცდომაში შეეყვანათ. რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზეგავლენას ლარის კურსზე, ბიუჯეტიდან ხარჯები გაიწევა გაწერილი გეგმის ფარგლებში, ეს არ იქნება გადასახადების სახით ამოღებულ თანხაზე მეტი. ბიუჯეტის დეფიციტი 3.5%-ზე ნაკლები იქნება, ნაცვლად დაგეგმილი 3.7%-ისა. შესაბამისად, ეს ფაქტორიც არ მოახდენს ზეგავლენას ლარის კურსზე, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები უპასუხისმგებლოდ ამტკიცებენ. საქართველოში მცურავი გაცვლითი კურსია, რაც ეკონომიკისთვის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმია. შესაბამისად, გაუფასურებას მოჰყვება გამყარება და პირიქით. ლარის კურსი სტაბილური მოლოდინის დამახასიათებელი მერყეობის ფარგლებში იცვლება. ამას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტებიც აცხადებენ. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენლებს შევხვდი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ლარს არავითარი საფრთხე ემუქრება. პირიქით, უახლოეს დღეებში, უფრო გამყარდება“.**

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოში მესამე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 508 000 000 აშშ დოლარი იყო, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 99%-ით, ხოლო 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს — 155%-ით აღემატება. აღსანიშნავია რეინვესტირების დონეც, რომელმაც 26% შეადგინა, ხოლო ახალი კაპიტალის წილი ამ მაჩვენებელში 63%-ია. ღარიბაშვილმა ის ქვეყნებიც დაასახელა, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ, ლიდერობენ. პირველ ადგილზეა ჩინეთი, საიდანაც 150 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რომელსაც აზერბაიჯანი და ნიდერლანდები მოჰყვება: **„სამ კვარტალში, ყველაზე მსხვილი უცხოური ინვესტიცია მშენებლობის სფეროში განხორციელდა და 181 000 000 აშშ დოლარი შეადგინა, მეორე ადგილზეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ხოლო მესამეზე უძრავი ქონება 61 000 000 აშშ დოლარით. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობის სექტორი, სადაც ჯამური მაჩვენებლის 35.7%-იანი მატებაა, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 21%-იანი მატება. სამშენებლო სექტორში ინვესტიციები მიმდინარე წლის წინა კვარტალთან შედარებით, 9-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს — 7.5%-ით. თუ ამ მაჩვენებლებს გასული წლის მესამე კვარტალს შევადარებთ, მივიღებთ 112.5%-იან ზრდას. მიუხედავად მეზობელი ქვეყნების ურთულესი ეკონომიკური გამოწვევებისა, საქართველოში ეკონომიკური ზრდა წელს 5%-ს გადააჭარბებს. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, გაისად, რეგიონში ყველაზე მაღალი ზრდა, ანუ ისევ 5% იქნება. მოსახლეობისთვის მინდა განვმარტო და ჩამოვთვალო ქვეყნები, სადაც ჩვენზე ძლიერი ეკონომიკაა, მაგრამ ჩვენთან შედარებით, საკმაოდ დაბალი მატებაა: ყაზახეთის ეკონომიკაში 4.3%-იანი ზრდა, აშშ-ში — 2.2%, თურქეთში — 3%, რუსეთში — 0%, უკრაინაში — მინუს 8%, სომხეთში — 2.6%, აზერბაიჯანში — 4.5%, მოლდოვაში — 1.8%, ბელორუსში — 0.9%, ბულგარეთში — 1.4%, ხორვატიაში — მინუს 0.8%, ბალტიისპირეთის ქვეყნებში — 2.5%, ევროკავშირის ქვეყნებში — 1.4%, ევროზონაში — 0.8%, ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში — 2.6%, ხოლო საქართველოში — 5.2%. ეს არის პასუხი იმ ცრუ ბრალდებებსა და უპასუხისმგებლო კამპანიაზე, რომელიც ჩვენმა ოპონენტებმა და ე.წ. ექსპერტებმა წამოიწყეს, რათა საქართველოში გარემო გააუარესონ და მოსახლეობა უფრო დაძაბონ. თუმცა გარწმუნებთ, ვითარებას ვმართავთ, რეგულარულად ვმუშაობთ ეროვნულ ბანკთან. ლარი ეროვნული ბანკის ჩარევის გარეშე დასტაბილურდა“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა სამთავრობო ცვლილებებსა და იმ აჟიოტაჟზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც მოსახლეობის დაძაბვის მიზნით, ხელოვნურად შეიქმნა. პრემიერ-მინისტრმა განმარტა, რომ ქვედა რგოლებში განხორციელებული ცვლილებები განსაკუთრებული არაა, რადგან ზაფხულში 7 მინისტრი, ხოლო ერთი თვის წინ, 3 მინისტრი შეცვალა. მისი თქმით, ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა უწყების დეპარტამენტების უფროსებსა და მინისტრების მოადგილეებს მუდმივად ცვლიდნენ. პრემიერ-მინისტრმა უსაფუძვლო, უპასუხისმგებლო და ტყუილი ბრალდებები უწოდა იმ აჟიოტაჟს, რაც სამთავრობო ცვლილებებს მოჰყვა: **„ცვლილებები, ამ ეტაპზე დასრულდა. იმ ადამიანებმა, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდნენ, თავისი სამუშაო უკვე შეასრულეს და დადგა დრო, წასულიყვნენ ან სხვა სამსახურში გადასულიყვნენ. მართლაც მიკვირს, რატომ გაჩნდა ამდენი კითხვა, რადგან მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს, ვინ, სად და რომელ დეპარტამენტში მუშაობს. სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ მთავრობის შემადგენლობას არ ვყოფ ჩემი ან სხვისი გუნდის წევრებად. ჩვენ ერთი გუნდი ვართ. როდესაც ერთიანი მიდგომაა, იქ არავითარი განსხვავება, ერთი ან მეორე გუნდი და თუნდაც კლანები, როგორც ამას ზოგიერთი მედიასაშუალება უწოდებს, არ არის. ეს უსაფუძვლო სპეკულაციებია ამ თემაზე. ორი წლის განმავლობაში 27 ადამიანი გამოვცვალეთ, მაგრამ რატომ არის ეს უშუალოდ ჩემი, ან სხვისი გუნდის წევრების გადაადგილება, არ მესმის. დგება დრო, როდესაც საჭიროა განახლება, ახალი სისხლი უნდა შემოვიდეს მთავრობაში, სამინისტროებში, რათა უფრო ეფექტურად ვიმუშაოთ. ამდენად, ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი პროცესია. რაც შეეხება გავრცელებულ ჭორებს იმის თაობაზე, თითქოს პრემიერ-მინისტრი სხვა იქნება, ეს იმდენად სასაცილო კითხვაა, არც კი ვიცი, გიპასუხოთ თუ არა. პრემიერ-მინისტრი მთავრობის მეთაურია, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს, ჩვენ ვართ სახელმწიფო, პრემიერ-მინისტრის გამოცვლა, ან გადაყენება ასე მარტივად არ ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოებში. რაც შეეხება მინისტრებს, კიდევ სამი მინისტრის შეცვლის უფლება მაქვს, მაგრამ არც ერთის შეცვლას არ ვაპირებ და ამას გიდასტურებთ. მინდა, ვუთხრა მოსახლეობას, რომ არც ერთი მინისტრი არ დატოვებს პოსტს, მთავრობაში ცვლილება არ იგეგმება. შიდაგადაადგილება ამ ეტაპზე დავასრულეთ. შესაძლოა, უწყებებს შორის, რამდენიმე გადაადგილება კიდევ მოხდეს, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. ეს მინისტრების პრეროგატივაა და მათ საქმიანობაში არ ვერევი“.**

კითხვაზე, რა გააკეთა ზვიად ჯანყარაშვილმა ორი თვის განმავლობაში, როდესაც ის „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა და რა როლი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს სამთავრობო გადაადგილებებში, პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ ზვიად ჯანყარაშვილი მისი ნათესავია და ეს არასოდეს დაუმალავს. ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ თავის დროზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის უფროსის თანამდებობაზე ზვიად ჯანყარაშვილი ნათესაური ნიშნით არ შეურჩევია: **„ურთულეს დროს, ურთულესი სამინისტრო ჩავიბარე და 6 თვის განმავლობაში, დაახლოებით, 1 500 ადამიანის რანგირება განვახორციელეთ, სამინისტროში კადრები სამჯერ შევცვალეთ. თუ მიგაჩნიათ, რომ ეს მარტივია, ძალიან ცდებით. ურთულესი მუშაობა გავწიეთ, სრულიად მარტო შევედი სამინისტროში, რამდენიმე ადამიანი მედგა გვერდში და მათ შორის იყო ზვიადი. ბრალდებები, რაც გამუდმებით ისმოდა მისი მისამართით, თითქოს ნათესაური ნიშნით იყო დანიშნული, ჭორია. ზვიადი, როგორც კარგი მენეჯერი, ერთგული კადრი და პროფესიონალი, ისე შევარჩიე, სხვა მოტივაცია არ მქონია. ამის მიუხედავად, თვითონ გამოთქვა სურვილი, გენინსპექციის უფროსის თანამდებობას დატოვებდა. რამდენიმე თვის შემდეგ, პარტიის აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა შევთავაზეთ, მაგრამ ბრალდებები მაინც გაგრძელდა და თვითონვე თქვა, რომ ეს უსაფუძვლო ბრალდებები მისთვის დამღლელი იყო, ეს თანამდებობაც თვითონ დატოვა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის როლს, როგორ წარმოგიდგენიათ, ბატონი ბიძინა რეკავს დეპარტამენტების დონეზე და ამა თუ იმ პირის შეცვლას ითხოვს? კიდევ ერთხელ, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბიძინა ივანიშვილი მთავრობის საქმიანობაში არ ერევა, მაგრამ, როდესაც მნიშვნელოვან საკითხებზე ვმსჯელობთ და საჭიროდ ვთვლი, შესაძლოა, დავურეკო მას და რჩევა ვკითხო. ეს არასოდეს დამიმალავს და ამაში დასაძრახიც არაფერია, რადგან ეს ჩვეულებრივი, ნორმალური პროცესია. ყველა ქვეყანაში მიღებულია, რომ ყოფილ პრეზიდენტებს, ან პრემიერ-მინისტრებს რჩევას ეკითხებიან, რაც ნორმალური, ჯანსაღი და გამჭვირვალე პროცესია. ჩვენ არასოდეს არაფერი დაგვიმალავს და ეს ჩემთვის მთავარია“.**

პრემიერს ისიც ჰკითხეს, ლარის კურსის ცვლილება გარეფაქტორებით იყო გამოწვეული თუ შიდასპეკულაციებს ჰქონდა ადგილი, რადგან ეროვნული ვალუტის დასტაბილურება მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ ბრიფინგი ჩაატარა. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ურჩევნია, ამ თემაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და ფინანსთა მინისტრმა ისაუბრონ. მართალია, ნოდარ ხადურს ამ თემაზე საუბარი არ სურდა, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მას მაინც მოუწევს განმარტების გაკეთება. ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ლარის კურსი გარეფაქტორების გამო გაუფასურდა, მაგრამ ქვეყანაში პანიკა და აჟიოტაჟი სპეციალურად, მოსახლეობის დასაძაბად შეიქმნა. ამიტომ პრემიერმა მთავრობის წევრებთან, პრეზიდენტსა და პარლამენტარებთან ერთად, პასუხისმგებლობა მედიასაშუალებებსაც დააკისრა, რათა ასეთი საკითხები უფრო გულისყურით გააშუქონ: **„ბოლოს ისევ ცვლილებების გახმაურებული თემით მინდა დავასრულო, რადგან ბევრს ნაადრევად გაუხარდა, ბევრს იმედი გავუცრუე, ბევრმა თქვა, თითქოს საყრდენი გამომაცალეს, მაგრამ ასე არ ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ ყველა ერთნი ვართ და ყველა ჩემი გუნდის წევრია. ჩვენ, ყველა, იმ საქმეს ვემსახურებით, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო. მინდა, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ადამიანებს გუნდებად და კლანებად არ ვყოფთ ისე, როგორც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო. ჩვენი და პირადად ჩემი საყრდენი, ჩვენი სიმართლეა და ეს ჩემი ცხოვრების წესია, რითაც აქამდე მოვედი. რა თქმა უნდა, საყრდენი ძალიან კარგია, ადამიანებს უნდა დაეყრდნო, მაგრამ მთავარი საყრდენი ადამიანის სიმართლე უნდა იყოს და მე ასე ვმუშაობ. პრინციპში, ეს ცვლილებები უფრო კარგიც კი იყო, რადგან საინტერესო კადრები მოვიყვანე, ეკონომიკური საბჭოს მდივანი ბიზნესომბუდსმენი იქნება, რომელიც უფრო გახსნილი იქნება ბიზნესმენებთან. ეს კიდევ ერთი მესიჯი და ჩემი ნათელი გზავნილია ბიზნესმენების მისამართით, რომ მსურს, მათთან უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ, მეტი კომფორტი შევუქმნათ, რათა მთავრობა უფრო ღია და გამჭვირვალე იყოს ბიზნესთან ურთიერთობაში. უსაფრთხოების საბჭოს მდივანი დაზვერვის სამსახურის უფროსია და ეს არის ძირითადი, მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩემთვის. დანარჩენი, დეპარტამენტების დონეზე, მოსახლეობისთვის საინტერესო არ არის. ძირითადად, ეს არის უსაფრთხოება და ეკონომიკური გუნდი, აქ მინისტრებს არ ვეხებით, ვმუშაობთ და ყველაფერი წესრიგშია. მინდა, დავამშვიდო ის ადამიანები, რომლებიც ფარისევლურად აცხადებდნენ, თითქოს საყრდენი გამომაცალეს, ძალიან კარგად და მყარად ვდგავარ და ყველაფერი კარგად არის. ზოგადად, ასეთი კრიზისები საინტერესოა, ზოგჯერ ხელოვნურადაც კი უნდა შევქმნათ, რათა მმართველები და მენეჯერები შევაფასოთ, თუ როგორ იქცევიან ისინი კრიზისების დროს“.**

სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა არ გაძვირდება!

რატომ შეიქმნა პანიკა და რატომ მიიღეს „მარშუტკების“ მძღოლებმა თვითნებური გადაწყვეტილება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რუსთავის მერის, დავით ჯიქიას განცხადებით, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა არ გაძვირდება. ასეთი განცხადება მას შემდეგ გავრცელდა, რაც რუსთავის მოქალაქეები პანიკამ მოიცვა — გასულ კვირას, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა მგზავრობის საფასური 1.30 ლარიდან, 1.50 ლარამდე გააძვირეს. მიზეზად კი ლარის კურსის ცვლილება დაასახელეს. პარალელურად, თბილისშიც გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, 2015 წლის 1 იანვრიდან, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა 0.80 ლარიდან, 1.00 ლარამდე გაძვირდეს.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლების განცხადებით, ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ცალკეული ბიზნეს-ჯგუფების უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგი იყო. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განმარტებით, ქვეყნის ფინანსურ და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ამ სტაბილურობის გარანტი თავად ეროვნული ბანკია. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, გრძელვადიან პერიოდში, ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობასა და ლარის კურსს საფრთხე არ ემუქრება.

ფაქტია, რომ ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებისა და უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დამაიმედებელი განცხადებები უკან მიდევნებული ლამპარი იყო. ვიდრე ვალუტის კურსის ცვლილებაზე ოფიციალური განმარტებები მზადდებოდა, ბაზრის მოთამაშეებმა შექმნილი ვითარებით ისარგებლეს, რასაც ბაზარზე არსებული პროდუქციის გაძვირება მოჰყვა. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების მძღოლების რეაქციაც, რადგან ეს ხალხი ყოველდღიურად ისმენდა ინფორმაციას ლარის კურსის დაცემასთან დაკავშირებით და მათი გადმოსახედიდან, „ადეკვატური“ ზომებიც მიიღეს.

რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთმა მძღოლმა, თვითნებურად გამოაკრა განცხადება, სადაც ეწერა, რომ მგზავრობის საფასური 1.30 ლარის ნაცვლად, 1.50 ლარი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას რუსთაველების აღშფოთება მოჰყვა და ქალაქის მერი, დავით ჯიქია იძულებული გახდა, ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა, რომ მგზავრობის საფასური არ გაძვირდებოდა.

რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების ტენდერში კომპანია „ინტერტრანსმა“ გაიმარჯვა. სატენდერო პირობების მიხედვით, მკაცრადაა განსაზღვრული, რომ მგზავრობის საფასური არ უნდა გაიზარდოს. ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარება შეიქმნება. რაც მთავარია, მძღოლებს ასეთი გადაწყვეტილების თვითნებურად მიღების უფლება არ აქვთ. მგზავრობის საფასურის შესაძლო გაძვირებასთან დაკავშირებით, რუსთავის მერიას კომპანია „ინტერტრანსმა“ ოფიციალურად უნდა მიმართოს.

რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე არსებულ პრობლემებზე „ვერსიას“ კონფიდენციალური წყარო დაუკავშირდა. წყაროს ინფორმაციით, რუსთავის მერი, დავით ჯიქია ტყუის, როდესაც აცხადებს, რომ მგზავრობის საფასური ერთ-ერთმა მძღოლმა თვითნებურად გააძვირა, რადგან კომპანია „ინტერტრანსის“ გარეშე, ის დამოუკიდებლად ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. წყაროს ინფორმაციით, რუსთავის უშიშროების სამსახურის უფროსი ვანო ბეგაშვილი, „ინტერნტრანსის“ დამფუძნებლის, ზაზა ლომიძის კარის მეზობელია, რომლის გავლენასაც კომპანიის ხელმძღვანელები იყენებენ. წყარო გვიამბობს, რომ ვანო ბეგაშვილის სახელით, რუსთავის მერია, ან საკრებულო ზუსტად იმ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც „ინტერტრანსს“ სჭირდება, რადგან რუსთავის უშიშროების სამსახურის უფროსს დავით ჯიქიაზე დიდი გავლენა აქვს.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზის რამდენიმე მიკროავტობუსი რუსთავში დარღვეული მარშრუტით მოძრაობს. მეტიც, ისინი ამ მარშრუტის დაკანონებასაც ითხოვენ, რასაც შიდა საქალაქო ტრანსპორტის მძღოლების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. წყარო გვიამბობს, რომ რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზის მძღოლები ბიუჯეტში 312 ლარის ნაცვლად, 205 ლარს იხდიან, რადგან მაღალ გადასახადებს აპროტესტებენ. თუმცა იმის გამო, რომ ბიუჯეტში ნაკლები თანხა შეაქვთ, სატენდერო პირობებს არღვევენ. წყაროს ინფორმაციით, მძღოლებმა მიკროავტობუსებში დამატებითი სკამებიც დაამონტაჟეს, რაც ტენდერის პირობებით აკრძალულია. რუსთავის მერიის ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახური, ამ დარღვევებზე თვალებს ხუჭავს, არადა, ამ სამსახურის თანამშრომლები ხელფასს ბიუჯეტიდან იღებენ.

„ვერსია“, წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, რუსთავის მერიის პრესსამსახურის უფროსს, **თამუნა აქუბარდიას** დაუკავშირდა: **„რუსთავის მერმა დავით ჯიქიამ უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ მგზავრობის ღირებულება არ გაძვირებულა და არც გაძვირდება. პანიკა იმიტომ ატყდა, რომ სამარშრუტო ტაქსის ერთ-ერთმა მძღოლმა, განცხადება თვითნებურად გამოაკრა, მაგრამ რუსთავის მერიამ ეს ინფორმაცია მაშინვე უარყო. ზოგადად, მგზავრობის ფასმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიმატოს, თუ კომპანია „ინტერტრანსი“ რუსთავის მერიას, ან საკრებულოს ოფიციალურად მიმართავს. კომპანიას ჩვენთვის არ მოუმართავს, შესაბამისად, მგზავრობის გაძვირება ოფიციალურად არ იგეგმება“.**

თამუნა აქუბარდიას განმარტებით, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაცია, თითქოს რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზის რამდენიმე მიკროავტობუსი ქალაქში, დარღვეული მარშრუტით მოძრაობს, მცდარია და სიმართლეს არ შეესაბამება. აქუბარდიას თქმით, რუსთავის მერიის ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში, სისტემატურად ამოწმებს ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობას და ამ ტიპის დარღვევა სამსახურს არ გამოუვლენია. რაც შეეხება მძღოლების მიერ, ბიუჯეტში გადასახდელ თანხას, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზის მძღოლები, ხელშეკრულებით დადგენილ გადასახადს რეგულარულად იხდიან.

თბილისის მერიის ინფორმაციით, დედაქალაქში, ყვითელი მიკროავტობუსებით მგზავრობა არ გაძვირდება და კვლავ 0.80 ლარი იქნება.

იურიდიულმა კომიტეტმა პრეზიდენტს ცესკო-ს წევრობის 2 კანდიდატურა ჩაუგდო

ნინო კომახიძე
599-95-33-16

9 დეკემბერს თბილისში იურიდიული კომიტეტის სხდომა გაიმართა. განსახილველი სამი საკითხიდან, ცენტრალური, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ ცესკო-ში ზეპარტიულ წევრთა ვაკანსიაზე წარდგენილი კანდიდატურების მოსმენა და კენჭისყრა იყო. დღეისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი ასეთია — 6 პარტიული და 5 ზეპარტიული წევრი, რომელთაც პრეზიდენტი წარადგენს. ზეპარტიულ წევრთა უფლებამოსილების ვადა კი იწურება. ცოტას ხნის წინ, ცესკო-მ პრეზიდენტს ვაკანტურ 1 ადგილზე 3 კანდიდატურა წარუდგინა, რომელთაგან მარგველაშვილმა 2 — ზურაბ ხრიკაძე და ლევან ტურაშვილი შეარჩია. სწორედ ამ კანდიდატურებს მოუსმინა პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა და ისინი უარყოფითადაც შეაფასა.

მანამდე კი კომიტეტმა მხარი დაუჭირა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანას. კანონპროექტი საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის ამოქმედებას 2015 წლის 1 იანვრის ნაცვლად, 2016 წლის 1 იანვრიდან ითვალისწინებს. კომიტეტის ძირითადი სამუშაო დრო ცესკო-ს წევრობის მსურველთა მოსმენებმა წაიღო. პროფესიით ქიმიკოს **ზურაბ ხრიკაძეს,** როგორც აღმოჩნდა, ჟურნალისტად მუშაობისა და არჩევნების გაშუქების გამოცდილებაც აქვს. იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მედიასაშუალებებთან თანამშრომლობდა და რამდენიმე არჩევნებში ფასილიტატორიც იყო. კომიტეტის თავმჯდომარემ ორივე კანდიდატს დეპუტატებისთვის თავის წარსადგენად 5-5 წუთი გამოუყო. ხრიკაძემ პარლამენტარებს ასე მიმართა: **„ჩემს მთავარ საზრუნავად ცესკოსადმი ნდობის გაზრდა მიმაჩნია. ბოლო წლებში, ცესკო-სადმი და ზოგადად, საარჩევნო პროცესისადმი ნდობა გაიზარდა. მზარდი დინამიკა კარგია, არჩევნების ლეგიტიმაციის მიმართ კითხვები ნელ-ნელა იხსნება. სწორედ ახლაა საუკეთესო დრო არჩევნების სისტემის რეფორმირებისთვის. მე კი ამ პროცესში არამხოლოდ პოლიტიკური სპექტრის, არამედ ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას შევუწყობ ხელს. ამ კუთხით დიდი საერთაშორისო გამოცდილება და საარჩევნო განათლება მაქვს. ვფიქრობ, ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და განათლების დონეც უნდა გაიზარდოს“.** გამომსვლელს კი იურიდიული კომიტეტის წევრი „ფორუმიდან“ ანი მიროტაძე ჩააცივდა და კითხვა რამდენჯერმე გაუმეორა — ცესკო-ს დაკომპლექტების წესი თუ მოგწონსო და საკუთარი აზრიც დაუფარავად გამოთქვა: საარჩევნო კომისიაში პოლიტიკურ პარტიებს წევრი საერთოდ არ უნდა ჰყავდეთ, დანარჩენ წევრებს კი პრეზიდენტი არ უნდა ნიშნავდეს, ცესკო უფრო მიუკერძოებელი უნდა იყოსო. ზურაბ ხრიკაძემ განაცხადა, რომ ცესკო-ს დაკომპლექტების წესი საზოგადოებასთან, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმების საკითხია. თუ ხელისუფლების მიზანი პარტიებს შორის შეთანხმება და არჩევნების შედეგების სანდოობის ამაღლებაა, მაშინ ცესკო სწორედ პოლიტიკურმა ძალებმა უნდა დააკომპლექტონო. არგუმენტის გასამყარებლად კი, კანდიდატმა უნგრეთის მაგალითი მოიყვანა, სადაც არჩევნებს არათუ პოლიტპარტიების წარმომადგენლები, არამედ შსს ატარებს და ეს სისტემა ამართლებს კიდეც. ვახტანგ ხმალაძე იმით დაინტერესდა, სულ რამდენი განაცხადი შევიდა ცესკო-ს ამ ვაკანსიაზე და რა კრიტერიუმებით შეარჩია ეს ორი წევრი ჯერ საკონკურსო კომისიამ და შემდეგ პრეზიდენტმა. როგორც გაირკვა, ცესკო-ს წევრობა სულ 18 ადამიანს სურდა, აქედან ორი კი პროფესიონალიზმით, ობიექტურობითა და დამოუკიდებლობის ხარისხით შეირჩა. მეორე გამომსვლელი **ლევან ტურაშვილი** იყო, რომელმაც საკუთარი ხედვები კიდევ უფრო კონკრეტულად წარმოადგინა. ტურაშვილი „ისფედის“ დამკვირვებელი იყო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე, მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში და თანამშრომლობდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. 1 წლის განმავლობაში იგი შს სამინისტროში გამომძიებლადაც მუშაობდა: **„ჩემი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ცესკოს წევრებს შორის ფუნქციების თანაბრად გადანაწილება და ელექტრონული სისტემის დანერგვა იქნება. დღეს საოლქო საარჩევნო სისტემა და ცესკო-ს სწავლებისა და რეფორმების ცენტრი რამდენიმე წევრს ექვემდებარება. დანარჩენ წევრებს სრულყოფილი ზედამხედველობის უფლება არ აქვთ, ჩვენ კი მუშაობის სათათბირო რეჟიმზე უნდა გადავიდეთ. ჩატარდება სხდომები სტრუქტურულ ერთეულებთან, ისინი მათი საქმიანობის ანგარიშებს წარმოადგენენ. ამით ცესკოს ყველა წევრის მიმართ ანგარიშვალდებულება გაიზრდება და პროცესებში ყველა თანაბრად ჩაერთვება. ცესკო-ს წევრებს შორის რეალური თანასწორობის პრინციპი უნდა დამკვიდრდეს. დიდ დროსთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული დოკუმენტების მატერიალური ფორმით მომზადება-გაგზავნა.**

შესაცვლელია საგრანტო პოლიტიკაც, რადგან ცესკო ერთგვარი ფონდის ფუნქციას ითავსებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანს, რომელი არასამთავრობო ორგანიზაციების რა პროექტები იღებენ დაფინანსებას და ვინაა საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში“.

ლევან ტურაშვილმა საოლქო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზეც ისაუბრა, რაც მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში არ უნდა დაიწყოს. რამდენიმე სხვა საკითხთან ერთად, კანდიდატი საარჩევნო უბნების მოსაწესრიგებელ ინფრასტრუქტურასაც შეეხო და განაცხადა, რომ წინა არჩევნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მხოლოდ 600 უბანი იყო ადაპტირებული შესასვლელით. მისი თქმით, ეს პრობლემა მომავალ არჩევნებამდე უნდა აღმოიფხვრას. ეს მოხსენება ტურაშვილს არაფერში გამოადგა, ყოველ შემთხვევაში, იურიდიულ კომიტეტში, რადგან ვერც მან და ვერც ხრიკაძემ კენჭისყრით საჭირო რაოდენობის ხმები ვერ დააგროვეს. კენჭისყრის დროს „თბილისური კომიტეტი“ კიდევ ერთხელ შერცხვა, რადგან თავმჯდომარე ხმისმიმცემ დეპუტატებს ბოლო წამამდე აგროვებდა. კენჭისყრის ჩატარებას, მინიმუმ, 5 კაცი სჭირდებოდა, თუმცა როცა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები წყდება, კარგი იქნება, თუ 5-კაციან ზღვარზე კი არ ვიქნებით, მეტი ადამიანი მივიღებთ მონაწილეობასო — როგორც ყოველთვის, აღშფოთებას არ მალავდა ხმალაძე. ჯამში, ზურაბ ხრიკაძეს მხარი 3-მა დეპუტატმა დაუჭირა, სამმა კი ხმა მის წინააღმდეგ მისცა. ხოლო ლევან ტურაშვილმა 4 ხმა აიღო. დადებითი გადაწყვეტილებისთვის საჭირო 5 ხმა გახლდათ — შესაბამისად, იურიდიულმა კომიტეტმა პრეზიდენტს ცესკო-ში წარსადგენ წევრთა ორივე კანდიდატურა ჩაუგდო. ამის მიუხედავად, ეს კანდიდატურები 10 დეკემბერს ჩანიშნულ პლენარულ სხდომაზე მაინც უნდა წარადგინონ და თუკი მხარს უმრავლესობა დაუჭერს, ცესკოს წევრები მაინც გახდებიან. ამ დროისთვის კი პრეზიდენტმა, უკვე წარდგენილი ორის გარდა, ცესკო-ში კიდევ 3 ვაკანტურ ადგილზე გამოაცხადა ღია კონკურსი.

საქართველოს გავლით თურქეთში რუსული ელექტროენერგიის იმპორტს დავით ბეჟუაშვილის კომპანია განახორციელებს

როგორ მოხვდა ელექტროენერგიის ტრანსპორტირების სქემაში „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ექსკლუზიურად, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ რუსეთიდან საქართველოს გავლით, თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტს, ამიერიდან, პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის კომპანია განახორციელებს. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, რომელსაც დავით და გელა ბეჟუაშვილების კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ კომერციული დირექტორი ზურაბ გოზალიშვილი ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად, თურქეთს 300 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას მიაწვდის.

ოფიციალური და არაოფიციალური ვერსიები

გავრცელებული ინფორმაციით, „ინტერ რაომ“ საქართველოს ელექტროსისტემისთვის ელექტროენერგიის მიწოდება უკვე დაიწყო. საბოლოოდ, ეს ელექტროენერგია თურქეთში ტრანსპორტირებისთვისაა განკუთვნილი. „ინტერ რაოს“ ინფორმაციით, თურქეთში ელექტროენერგიის ტრანსპორტირება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის, „ბორჩხა-ახალციხის“ ურთიერთდამაკავშირებელი, 400-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი ამოქმედდა. საქართველოს გავლით, თურქეთში ელექტროენერგიის ტრანსპორტირებით, „ინტერ რაო“ შეეცდება, თურქეთის ბაზარზე საკუთარი წილი უფრო გაზარდოს.

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან ამ ტრანზიტში დავით ბეჟუაშვილის კომპანია მონაწილეობს. იმის გამო, რომ ფაქტობრივად, ეს ელექტროენერგიის რეექსპორტია, ტენდერი ვერ ჩატარდებოდა. სამაგიეროდ, 2014 წლის 3 ნოემბრიდან, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (ესკო), ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ იმპორტიორად დაარეგისტრირა. წყარო გვიამბობს, რომ 26 ნოემბერს, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, გამარჯვებულად სწორედ „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) გამოცხადდა, რომლის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ გოზალიშვილია.

მართალია, უცნობია, რა ფასად ყიდულობს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ ელექტროენერგიას რუსეთიდან, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, 300 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის გატარების საფასურად, ამ კომპანიას 1 ცენტიც რომ დარჩეს, 1 წლის განმავლობაში, ეს დაახლოებით, 25 000 000 აშშ დოლარი იქნება, რაც ბეჟუაშვილის კუთვნილ კომპანიას მოგების სახით დარჩება. წყარო გვიამბობს, რომ წელიწადში საშუალოდ, 2 მილიარდი კილოვატსაათია, ამიტომ გამორიცხული არ არის, ამ კომპანიამ 25 000 000 დოლარზე მეტი მოგება ნახოს.

„ვერსია“ დაინტერესდა, როგორ მოხვდა რუსეთიდან საქართველოს გავლით, თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტის სქემაში დავით ბეჟუაშვილის კომპანია, ან რატომ მიანიჭა ქართულმა მხარემ უპირატესობა სსეკ-ს? საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, მარიამ ვალიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ელექტროენერგიის ტრანზიტთან დაკავშირებით ინფორმაციას „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ფლობს და სამინისტრო არაფერ შუაშია. კითხვაზე, თუკი ამ ტრანზიტში მართლაც სსეკ მონაწილეობს, რატომ მიანიჭა სამინისტრომ ლიცენზია დავით ბეჟუაშვილის კომპანიას, **მარიამ ვალიშვილმა** გვიპასუხა: **„კონკრეტულად რომელი კომპანია მონაწილეობს ტრანზიტში, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ გაარკვიეთ, რადგან ელექტროენერგიის ტრანსპორტირების სერვისს, სწორედ ელექტროსისტემა ახორციელებს. რაც შეეხება ლიცენზიას, თუკი ამ ტრანზიტში მართლაც „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციაა“ ჩართული, ამ კომპანიას ლიცენზია არ სჭირდება, რადგან საქართველოს ენერგობაზრის კვალიფიციური სუბიექტია“.**

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო ჯერანაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2014 წლის 14 ნოემბერს, „ბორჩხა-ახალციხის“ 400 კვ ელექტროგადამცემის ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილებასთან დაკავშირებით, სპეციალური აუქციონი ჩატარდა, რომელშიც „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ მონაწილეობდა. 19 ნოემბერს, სსეკ აუქციონზე გამარჯვებულად გამოცხადდა, რომელმაც 300 მეგვატი სიმძლავრის ელექტროენერგიის ტრანზიტი უნდა განახორციელოს.

რას წარმოადგენს სსეკ?

არც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში და არც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ ფლობენ ინფორმაციას, როგორ, ან რა მექანიზმით მოხვდა დავით ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანია ელექტროენერგიის ტრანზიტის სქემაში. „ვერსიამ“ ოფიციალურად ვერც ის გაარკვია, რა დამსახურების გამო მიანიჭეს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ ენერგობაზრის კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი.

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, რომელიც ძმებმა, დავით და გელა ბეჟუაშვილებმა დააფუძნეს, „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ (სსეკ) საშუალებით, აქტიურად ახორციელებს ინვესტიციას ელექტროენერგიის გამომუშავების სექტორში. სსეკ 2005 წლის ივლისში დაფუძნდა და ამჟამად, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნესერთეული, ელექტროენერგიის გამომუშავებასა და ბუნებრივი აირის რეალიზაციას მოიცავს. ოფიციალური ინფორმაციით, სსეკ საქართველოში 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურსა და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს ამუშავებს, რომელიც გარდაბნის რაიონში მდებარეობს.

სსეკ-ს საბაზრო წილი, საქართველოში საერთო გამომუშავებული ელექტროენერგიის 13%-ია; კომპანია მცირე ზომის ჰესების სეგმენტში ლიდერია, რომელიც აწარმოებს საერთო დადგმული სიმძლავრის 31%-ს; სსეკ, ქვეყნის მასშტაბით არსებული გაზგასამართი სადგურების ყველაზე დიდი ქსელის მფლობელია.

რაც შეეხება ელექტროსადგურების სიმძლავრეს, კომპანიის საერთო დადგმული სიმძლავრე 345 მეგავატია; სსეკ ერთადერთი, ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მფლობელია საქართველოში, რომლის სიმძლავრე 13.2 მეგავატია. 2012 წლის მონაცემებით, სსეკ-ს გაყიდვების მოცულობა 12 800 000 ლარი, ხოლო ჯამური აქტივები — 193 000 000 ლარი იყო.

2013 წლის 19 აგვისტოდან, „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ გოზალიშვილია, რომელიც იმავდროულად, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ კომერციული დირექტორის ფუნქციასაც ითავსებს.

ძმები ბეჟუაშვილების ქონება და წილები

1999 წელს, მაშინდელი მმართველი პარტიის „მოქალაქეთა კავშირის“ სახელით, დავით ბეჟუაშვილი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა, ხოლო 2004, 2008 და 2012 წლებში, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსს ატარებდა. ჯერ კიდევ 2000 წელს, საქართველოს პროკურატურამ, დიდძალი თანხების მითვისების გამო, დავით ბეჟუაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნა რამდენჯერმე მოითხოვა კიდეც, თუმცა უშედეგოდ.

დავით ბეჟუაშვილი, გელა ბეჟუაშვილის უმცროსი ძმაა, რომელსაც ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, მაღალი თანამდებობები ეკავა საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, გელა ბეჟუაშვილი პირველი სამოქალაქო პირი იყო, რომელიც თავდაცვის მინისტრად დანიშნეს. მოგვიანებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. 2008 წლის თებერვლიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსად დანიშნეს.

არაოფიციალური მონაცემებით, ძმები ბეჟუაშვილების ქონების საერთო ღირებულება 1 მილიარდ დოლარს აღწევს. ბეჟუაშვილების აღზევების ხანა 1998 წლიდან იწყება, როცა ძმები ძალიან იაფად და იოლად დაეუფლნენ სახელმწიფო კომპანია „საქტრანსგაზმრეწვის“ რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარად შეფასებულ ქონებას. მათ შორის, გაზის გამანაწილებელ ქსელსა და მილსადენს, რომლითაც რუსეთიდან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება საქართველოსა და სომხეთში ხორციელდებოდა. ეს სახელმწიფო კომპანია ძმებმა ხელში მიხეილ სააკაშვილის მფარველობის შედეგად ჩაიგდეს, რომელიც 1998 წელს, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე იყო. სხვათა შორის, სააკაშვილისა და ბეჟუაშვილების კავშირს უფრო დიდი ისტორია აქვს, რადგან გელა ბეჟუაშვილი და მიხეილ სააკაშვილი კიევის უნივერსიტეტში თანაკურსელები იყვნენ.

„საქტრანსგაზმრეწვის“ საშუალებით, რომელსაც მოგვიანებით „საქგაზი“ უწოდეს, ბეჟუაშვილებმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვეს. რუსეთიდან საქართველოში გაზის ტრანპორტირების სქემაში, „საქგაზი“ შუამავალი კომპანიის ფუნქციას ასრულდებდა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ ბეჟუაშვილების კუთვნილი კომპანია ამ სქემიდან საქართველოს ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა, დავით მირცხულავამ ამოაგდო და 65-თეთრიანი გაზის ტარიფი, 45 თეთრამდე შეამცირა კიდეც. არადა, წლების მანძილზე, ძვირი, გაორმაგებული გაზის საფასური, თბილისელების ჯიბეებსაც აცარიელებდა და ძალიან მალე, კომპანია „თბილგაზიც“ გააკოტრა, სხვა მსხვილ ქართულ საწარმოებს კი ვალები აჰკიდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ბეჟუაშვილების ქონება კიდევ უფრო გაიზარდა. მათი კუთვნილი ჰოლდინგი — „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ათამდე თბო და ჰიდროელექტროსადგურს აერთიანებს, რომელთა ჯამური სიმძლავრე 345 მეგავატია. ამავე ჯგუფში შედის, „საქნახშირი“, რომელიც ტყიბულის ნახშირის მაღაროებს ამუშავებს. ბეჟუაშვილების კუთვნილი ჰოლდინგი, კომპანია „ინტერტრანსის“ საშუალებით, საქართველოს რკინიგზით შემოსული კონტეინერების განბაჟების პროცესსაც აკონტროლებს. სხვათა შორის, „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“, სს „ქართული ლუდის კომპანია“ და უძრავი ქონების კომპანია „ტიფლის სითიც“, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანიებია.

ბეჟუაშვილები სერიოზულ წილს ფლობენ საქართველოს ცემენტის, კირის, ღორღის, მშენებლობის, უძრავი ქონების, ტურიზმისა და ალკოჰოლური სასმელის ბაზრებზე. ბოლო წლებში, ძმების კომპანია „გლობალტრანსმა“, ასეულობით მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო ტენდერი მოიგო.

ვერსიანიუსი

რიკოთის გვირაბში მოძრაობა შეიზღუდება

9-დან 12 დეკემბრის ჩათვლით გვირაბში დღის განმავლობაში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალება.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში, ელექტრო-მექანიკური აღჭურვილობის პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით 2014 წლის 9 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, დღის განმავლობაში (08:00-დან 18:00 საათამდე) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება.

სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე. ღამის საათებში (18:00-დან 08:00 საათამდე) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ჩვეულ რეჟიმში, გვირაბის გავლით განხორციელდება.

„პირველი“

„დიდი ალბათობით ლარის კურსი დაიწევს“

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, გასულმა შაბათ-კვირამ ლარის კურსის დასტაბილურება აჩვენა. შესაბამისად, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ძალიან დიდი ალბათობით, კურსი დაიწევს.

ხადურის განცხადებით, პროგნოზების გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს იქნება მკითხაობა და არა საქმეზე რეალური ლაპარაკი: **„ლარის კურსზე ზეგავლენას ბევრი ფაქტორი ახდენდა, მათ შორის საგარეო, ანუ ზოგადად დოლარის გამყარება. ასევე შიდა ფაქტორები, მათ შორის აჟიოტაჟი“.**

რაც შეესაბამება პროდუქტებზე ფასების ზრდას, მინისტრის თქმით, ეს არ შეინიშნება.

„პირველი“

ეროსუდან შელია
557-100-768

დავით ზალკალიანი: „არასოდეს მიმიღია მითითება, დასავლეთთან ინტეგრაციის კუთხით ნაკლები გვემუშავა, პირიქით!“

თანამდებობიდან ისე წავიდა, ვრცლად არ განუმარტავს, რა საფრთხე შეექმნა ქვეყნის საგარეო კურსს. არც ის დაუკონკრეტებია, ამ მიმართულებით კოალიციის ლიდერებისგან იღებდა თუ არა კონკრეტულ დავალებებს, რომელიც მის შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ საგარეო პოლიტიკაში მიღწეული წარმატებები „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად კოალიციის დამსახურებაა. როგორ აფასებს დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობას და რას ურჩევს ხელისუფლებას? „ვერსია“ საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, დავით ზალკალიანს ესაუბრება.

— თვეზე მეტია თანამდებობა დატოვეთ. ახლა მაინც დააკონკრეტეთ, რა საფრთხე შეექმნა ქვეყნის საგარეო კურსს?

— მინისტრის მოადგილის პოსტის დატოვებისას, ყურადღება თავდაცვის სამინისტროში არსებულ კითხვებზე გავამახვილე და დღესაც იგივე აზრზე ვარ — ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე, როცა ნატო-ს პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ყველაზე წარმატებულ უწყებად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სახელდება, მასზე შეტევა დაუშვებელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა თავდაცვის მინისტრი საფრანგეთსა და გერმანიაში მნიშვნელოვანი ვიზიტითაა და თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს. თანაც პროკურატურა საკმაოდ სენსიტიურ საკითხს შეეხო. კარგად გვახსოვს, 2008 წელს, საქართველო-რუსეთის ომის დროს, ჩვენთვის ყველაზე სუსტი წერტილი სხვადასხვა უწყებებს შორის კავშირგაბმულობის გაწყვეტა გახლდათ. ამიტომ ირაკლი ალასანია, პირველ რიგში, ამ პრობლემით დაინტერესდა და ე.წ. კაბელების საქმეც თავდაცვის დანაყოფებს შორის კავშირგაბმულობის სრულყოფას ემსახურებოდა.

— მასალების 97%-ს უკვე გაეცანით, მაინც გიჩნდებათ ეს კითხვები?

— საქმის მასალებს დეტალურად არ ვიცნობ, მაგრამ ადვოკატების განცხადებებიდან გამომდინარე ზოგადი წარმოდგენა მაქვს. აშკარაა, პროკურატურას მტკიცებულებების ნაწილში სერიოზული პრობლემები აქვს. დღესაც მიმაჩნია, რომ პროცესი გამჭვირვალედ უნდა წარმართულიყო და სახელმწიფო მოხელეებს აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინათ.

— დავაზუსტოთ — თავდაცვის სამინისტროში დაწყებული გამოძიების გარდა, ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილება კოალიციის სხვა ქმედებებში არ შეგიმჩნევიათ?

— რა თქმა უნდა, არა. არასოდეს მიმიღია პირდაპირი მითითება დასავლეთთან ინტეგრაციის კუთხით ნაკლები გვემუშავა, პირიქით! მადლობელი ვარ ლიდერების, რომელთა თანადგომის გარეშე არაერთი წარმატების მიღწევა გაგვიჭირდებოდა. მათ შორის, ასოცირების ხელშეკრულებაის ხელმოწერა და ნატო-ს სამიტზე საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგის მიღება. ამ კუთხით მხოლოდ დადებითად შემიძლია ხელისუფლებაზე ვისაუბრო. უბრალოდ, როგორც დიპლომატი, მივიჩნევ, რომ ხელისუფლება ნატო-ს პაკეტის იმპლემენტაციაზე უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული და არა თავდაცვის სამინისტროზე სენსიტიური თემებით დარტყმების მიყენებით. თანაც ჩავთვალე, რომ იმ ადამიანების გვერდით უნდა დავმდგარიყავი, ვისთან ერთადაც პოლიტიკაში მოვედი. მიუხედავად იმისა, რომ კარიერული დიპლომატი ვარ, კოალიციის გამარჯვების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ ამ გუნდთან ერთად დავინიშნე.

— საზოგადოების ნაწილს ამიტომაც გაუჩნდა კითხვა, სახელმწიფო ინტერესები მეგობრების წინაშე აღებულ ვალდებულებაში ხომ არ გაცვალეთ?

— 22 წელია დიპლომატი ვარ. ნახევარი ცხოვრება ამ სფეროში გავატარე და ყოველთვის სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ვმოქმედებდი. საკითხს ასე ნუ გავამარტივებთ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მარტო, გუნდის გარეშე რომ დავრჩენილიყავი, პოზიციების დაცვა გამიჭირდებოდა. კოალიციაში შიგნით მაშინ ვიყავი ძლიერი, როცა თანამოაზრეთა გუნდი ჩემ გვერდით იდგა — ირაკლი ალასანია ნატო-სთან დასაახლოებლად თავდაცვის სფეროში რეფორმებს ახორციელებდა, ევროატლანტიკური კურსის მთავარი კოორდინატორი ალექსი პეტრიაშვილი იყო და საგარეო საქმეთა სამინისტროს მაია ფანჯიკიძე ხელმძღვანელობდა. მათ გარეშე პოზიციებს ვერ დავიცავდი.

— ორჯერ ახსენეთ პოზიციების დაცვა და კოალიციაში ვისთან იცავდით დასავლურ პოზიციებს?

— არ მინდა დავიჯერო, რომ დასავლური კურსი კოალიციისთვის პრიორიტეტი არ არის. მაგალითად, რესპუბლიკელებისთვის ევრონატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია მთავარი პრიორიტეტია. ალბათ, იგივე განწყობაა „ქართულ ოცნებაშიც“, მაგრამ „რესპუბლიკელებთან“ საქმიანობის მეტი გამოცდილება მაქვს და ეს მათზე საუბრის მეტ საფუძველს მაძლევს.

— თქვენი წასვლის შემდეგ, რა შეიცვალა საგარეო საქმეთა სამინისტროში?

— ჯერ მხოლოდ ერთი თვე გავიდა, ამიტომ რთულია თქმა, ეფექტურად მუშაობს თუ არა ახალი მინისტრი. ჩასაფრებულის პოზიციაში არ ვარ. პირიქით, გამეხარდება თუ სამინისტრო წარმატებული იქნება. მეტიც, თუ სურვილი ექნებათ, შემიძლია, რეკომენდაციებიც გავუზიარო. ოპოზიციაში ყოფნა ამაში ხელს არ შემიშლის. შესაძლოა კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლა ერთგვარ პრევენციას ემსახურებოდა — ჩვენი გადადგომის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა ნატო-სა და რუსეთზე საკმაოდ მკაფიო განცხადებები გააკეთა. ჩვენი თანამდებობიდან გადადგომით საჯარო გავხადეთ სისტემური კრიზისი. კერძოდ, პროკურატურაში არსებული პრობლემები ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს ვნებს! ევროატლანტიკური ინტეგრაცია მხოლოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების დეკლარირებას არ ნიშნავს, საქმით უნდა დადასტუდეს.

— თუ რამე საფრთხე არსებობდა, ლოგიკური იქნებოდა, პოსტზე დარჩენილიყავით და ადგილზე გეზრუნათ მათ აღმოფხვრაზე.

— ქვეყნის კურსის ცვლილებაზე ადეკვატური რეაქციისთვის საკმარისი ბერკეტები დღესაც გვაქვს — „თავისუფალ დემოკრატებს“ პარლამენტში ფრაქცია გვყავს.

— რუსეთისა და აფხაზეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რატომ არ იცვლება კრემლთან ურთიერთობის პოლიტიკა და რატომ ნარჩუნდება აბაშიძე-კარასინის ფორმატი?

— რუსეთ-აფხაზეთს შორის ე.წ. შეთანხმების პროექტზე ხელმოწერის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობაში ახალი სტატუსქვო შეიქმნა. დღეს საქართველოს დელეგაციის მთავარი ამოცანაა, ამ საკითხებში ჟენევის თანათავმდჯომარეები აქტიურად ჩართოს. აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს თავად ჟენევის ფორმატი, რომელიც ერთადერთია, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ვაყენებთ მწვავე საკითხებს — 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის იმპლემენტაცია, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა... არ უნდა დაგვავიწყდეს ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება, სადაც რუსეთთან სრული ინტეგრაციისთვის მზად არიან. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. წითელ ხაზებზე სერიოზული შედეგი არ მიგვიღია, რუსეთთან გარკვეული საკომუნიკაციო არხის არსებობის მომხრე ყოველთვის ვიყავი. სამწუხაროდ, საქართველოს მიერ გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯები მოსკოვმა არც შეაფასა, არც დააფასა. პირიქით, ანექსიით გვიპასუხა. ამიტომ ხელისუფლებამ აბაშიძე-კარასინის დიალოგის გაგრძელების პერსპექტივები უნდა გადასინჯოს და გააანალიზოს, რამდენად ღირს ამ ვითარებაში კარასინთან საუბარი. მინიმუმ არაადეკვატურია, როცა რუსეთის ნაბიჯების შემდეგ, მას ისევ ღვინის ექსპორტზე ესაუბრები. ხოლო თუ უფრო ღრმა საკითხებზე დაიწყება საუბარი, გამოდის, ჟენევის ფორმატს ვეწინააღმდეგებით.

— ამ ფონზე, ლავროვი საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შესაძლო შეხვედრაზე საუბრობს. კრემლში გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი, დღეს გამართლებული იქნება?

— შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა შედგეს! ცინიკურია, როცა რუსეთი ერთი მხრივ ქვეყნის ანექსიას ახორციელებს, მეორე მხრივ კი, უმაღლეს დონეზე დიალოგს გვთავაზობს. ამ ვითარებაში წარმოუდგენლად მიმაჩნია საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. ეს რეალობასაცდენილი შემოთავაზებაა და ამ შემთხვევაშიც, ქართული მხარე კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ პირდაპირი დიალოგის დასაწყებად ნაბიჯს გადადგამს. რუსეთის ფედერაციაში უნდა გაიგონ, რომ საქართველოსთვის წყალგამყოფი დეოკუპაციაა.

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა სამინისტრო საქველმოქმედო აქციებს აგრძელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებულ საქველმოქმედო აქციებს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი ოჯახების დასახმარებლად. დუშეთის შემდეგ, სამინისტროს თანამშრომლები ყაზბეგის რაიონს ეწვივნენ და იქ მცხოვრებ მოსახლეობას საკვები პროდუქტი ჩაუტანეს.

აღნიშნული საქველმოქმედო აქცია შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება. სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შეგროვებული თანხებით, სამინისტრო მთიან სოფლებში მცხოვრებ 500-მდე ოჯახს დაეხმარება.

საქველმოქმედო აქცია დეკემბრის ბოლომდე გრძელდება და საქართველოს რამდენიმე მაღალმთიან რეგიონს მოიცავს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ექსტაზი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, რუსეთის მოქალაქე სვეტლანა ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 85 აბი და 8 ნატეხი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ე.წ. ექსტაზს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ საგარეჯოში განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ელიმხან ე. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერხვიანში, ეჭვიანობის ნიადაგზე, თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღით მეუღლის — 1973 წელს დაბადებული მელეიქა გ-ს მოკვლა სცადა, თუმცა გასროლა ვერ მოახერხა, რის შემდეგაც მეუღლეს კუთვნილი ავტომანქანით შეეჯახა. მელეიქა გ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ელიმხან ე. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. ცეცხლსასროლი იარაღი და ავტომანქანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

„საქათმისთვის“ განწირული „პუტიოვის“ შურისძიება

პატიმარი №0578

როგორ იყარა ჯავრი „შავ სამყაროზე“ „ქურდობაზე“ მეოცნებე პატიმარმა

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყველაზე დაბალ საფეხურზე პატიმართა შორის ე.წ. ქათმები არიან. მათ არაფრის უფლება აქვთ და უწმინდურებადაც ითვლებიან — რიგით პატიმარს, „ქათმის“ ცემაც რომ უნდოდეს, ვერ შეეხება, რამე საგანი უნდა ჩაარტყას, რადგან „ქათამზე“ შეხება „გრეხია“. „საქათმეში“ კი, იმის მიხედვით ხვდებიან, ვის რა აქვს მიქარული...

ნახალოვკელი ლევანი ტ. ბავშვობიდანვე ქურდობაზე ოცნებობდა. 13 წლის იყო, პირველად რომ მოიპარა. 17 წლისას უკვე უბნის „ობშიაკი“ ებარა და „ქურდული სალაროს“ გაზრდას ცდილობდა. ქურდებიც კმაყოფილი ჰყავდა და თავადაც არ იყო უკმაყოფილო — უბანში კაიბიჭის სახელი ჰქონდა. ამბობდნენ, ლევანი „პუტიოვია“ ანუ მომავალში ქურდი გახდებაო.

ერთ დღეს ლევანს დედის საოპერაციოდ ფული დასჭირდა და „ობშიაკიდან“ აიღო. თქვა, ხელი მეწვებოდა, „საერთოს“ რომ ვეხებოდი, მაგრამ სხვა გზა არ იყო. იმავე საღამოს, „ობშიაკის“ შესავსებად საქმეზე, მაგრამ ჩავარდა. ჯერ „კაპეზე“, მერე ციხე. ქურდებმა შემოუთვალეს, „ობშიაკი“ სადაა, სხვამ რომ გადაიბაროსო. ლევანმა ჯერ ის ახსნა, რატომ აკლდა საერთოს ფული და დააყოლა, ორ დღეში ძმაკაცები მოიტანენო. არ აპატიეს... საქმეში ერთი ნახალოვკელი ქურდი ჩაერთო, რომელსაც ლევანის აღმასვლა არ აწყობდა და ახალგაზრდა ბიჭს უმძიმესი სასჯელი გამოუტანეს — „საქათმე“. ქურდების განაჩენს ზონაზე ვერავინ გააპროტესტებდა და ოფიცრებმა „პუტიოვი“ პატიმარი „საქათმეში“ შეაგდეს. ერთ საათში „ქათმების“ ბრიგადირი მაყურებლებთან მივიდა, რამე მოიფიქრეთ, იმ ბიჭს შტირი აქვს და ამბობს, ვინც შემეხება, დავბრიდავო. მეორე დღეს ლევანი სხვა ზონაზე გადაიყვანეს, მაგრამ იქაც იგივე განმეორდა და ადმინისტრაციამ კარცერში გაამწესა.

„მოვიფიქროთ რამე. ერთ დღეს ვინმეს მოკლავს და ხელს ჩვენსკენ გამოიშვერენ, ადმინისტრაციამ იცოდაო. ისეთ ზონაზე უნდა წავიყვანოთ, სადაც არავინ იცნობს. თანაც, სხვა სახელით უნდა გავატაროთ“, — სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ამ საუბრის შემდეგ, ლევანს უთხრეს, დათო გერქმევა, ბათუმის ციხეზე მოიხდი სროკს, შენთვის იქნები ჩვეულებრივ კამერაში, ხმას არავინ გაგცემსო.

საღამოს, ბათუმის ციხეს პატიმარი დავით რ. შეემატა. მეორე დღეს ციხის მაყურებლებმა დაიბარეს. თქვა, საგარეჯოდან ვარ, ქურდობაზე დამიჭირეს, კაიბიჭი ვარ, შეგიძლიათ მენდოთო. ნელ-ნელა ყველაფერში გაერკვა. ორ თვეში კი, მაყურებელი სხვა ზონაზე გადაიყვანეს და მისი საქმე ჩაიბარა. ადმინისტრაცია ამას არ ელოდა. აწყობდათ კიდეც „ქათამი“ მაყურებელი — მისი კონტროლი შეიძლებოდა, თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არ აეწყო.

„არავინ დაგიჯერებთ. როგორც კი იტყვით, რომ „ქათამი“ ვარ, ციხეზე ბუნტს მოგიწყობთ. მე ჩემთვის, თქვენ თქვენთვის. ზღვარს არ გადავიდეთ!“, — უთხრა ლევანმა ციხის დირექტორს.

ბათუმის ციხეზე „პალაჟენია“ ნელ-ნელა დალაგდა, პატიმრებმა შვება იგრძნეს, ლევანის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. პატიმრებში სამართლიანობის შეგრძნება გაიზარდა, ციხეზე თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო ნივთი და ხილი უპრობლემოდ შედიოდა. პატიმრებს ლევანი აკონტროლებდა. ბათუმიდან თბილისში გადაყვანილი პატიმრები სიამოვნებით ყვებოდნენ ლეგენდადქცეულ მაყურებელზე, რომელსაც ციხე ხელში ეჭირა და პატიმრები პატივს სცემდნენ.

„ნაჩალნიკ, ბათუმის ციხეზე უნდა გამიშვა რამდენიმე დღით. ახალი პატიმარი გაჩითულა, აზანზარებს იქაურობას, ყველაფერი აქვთ ციხეზე ტელეფონების გარდა. ვერ ვუკავშირდებით, არ ვიცით, ვინაა. გასროკილია, მაგრამ მაინც ციხეზეა, ზონაზე არ მიჰყავთ. საეჭვოა ეს ამბავი. უნდა ჩავიდე და გავარკვიო“, — რუსთავის ზონის მაყურებელი კახა ქ. დირექტორის კაბინეტში იჯდა. დირექტორმა დეპარტამენტში გადაამოწმა ყველაფერი და მაყურებელს გაშვებაზე უარი უთხრა. ამან ეჭვი კიდევ უფრო გაამძაფრა. კახამ სხვა ზონის მაყურებლებთან გადარეკა. მეორე დღეს საქართველოს ზონების ყველა მაყურებელმა ბათუმის ციხეზე წასვლა მოითხოვა და ყველამ უარი მიიღო.

„მომისმინე, ძმა... წადი ბათუმში, რომელიმე მაღაზიის ვიტრინა ჩალეწე, თან არაყი გქონდეს დალეული, ორთვიანს მოგარჭობენ და ბათუმის ციხეზე გადაგიყვანენ. იქ მაყურებელია დათო. აზანზარებს იქაურობას. გაარკვიე, რას წარმოადგენს. არსაიდან გაჩითული კაიბიჭი არ არსებობს“, — კახა ნახალოვკელ ძმაკაცს, ვანჩოს ელაპარაკებოდა.

სამი დღის შემდეგ ბათუმში მცირე ინციდენტი მოხდა. ნასვამმა მამაკაცმა ვიტრინა ჩაამტვრია და პოლიციელებსაც აგინა. არ გამართლდა კახას წინასწარმეტყველება — ხულიგნობისა და პოლიციელებზე წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, დაკავებულს სამწლიანი სასჯელი ემუქრებოდა.

პატიმარმა ვანჩომ მაყურებელი მოიკითხა. როცა დათოსთან კამერაში აიყვანეს, გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა. ვანჩომ ბოთლს წამოავლო ხელი და დათოს გაუქანა: „რა მაყურებელი, მე ამის ქათამი დედაც...“

საკანი კრაზანების ბუდეს დაემსგავსა, ვანჩოზე ბლატატამ გაიწია, ის კი ბოლო ხმაზე ყვიროდა, ქათამია, ქათამი გყავთ მაყურებლად, ყველას დაგბრიდავთო... ვითარება ბადრაგმა განმუხტა. დათო და ვანჩო კარცერში წაიყვანეს. პატიმრებმა კი ბუნტის მოწყობის საბაბით, ტელეფონებამდე მისვლა მოითხოვეს და სხვადასხვა ზონაში გადარეკეს, მომხდარის შესახებ დეტალურად მოუთხრეს და როცა ბათუმის ციხის დირექტორი დაითანხმეს, კახასთან ვანჩოს ელაპარაკა, ყველაფერი გაირკვა: ბათუმის ციხეს საქათმეში ნამყოფი ლევანი უყურებდა.

„ყველა იქაური კაიბიჭი, მთელი ბათუმის ციხის ბლატატა, საქათმეში. არავის პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს არაფერზე. მაგ სირებმა რვა თვე ვერ გაიგეს, ქათამი რომ ჰყავდათ მაყურებლად“, — ბობოქრობდნენ სხვა ზონის მაყურებლები, კახა სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა. ამ ამბის გასაკდომა პირადად მისი დამსახურება იყო. მერე რა, რომ ამ საქმეს მისი ძმაკაცის თავისუფლების სამი წელი შეეწირა. ლევანი სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის ისევ პრობლემად იქცა და დარჩენილი სასჯელი კარცერში მოახდევინეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სახელის აღდგენა სცადა, როცა არაფერი გამოუვიდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილის კაბინეტში შეაჭრა: „მუშაობის დაწყება მინდა. თქვენთან... კი იცით, ვინ ვარ და რა შემიძლია. მწარედ ვანანებ შავ სამყაროს ჩემს გაფუჭებას“.

დღეს ლევანი შსს-ს სამინისტროში ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზეა. სწორედ მის სახელს უკავშირდება რამდენიმე ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის დაკავება. ამას გარდა, ბოლო დროს გახმაურებული კრიმინალური დაჯგუფებების აყვანის ოპერაციაც მისი დაგეგმილი გახლავთ.

მოსმენების გასაღებს პატრონი გამოუჩნდა, სამართლიანობის გასაღებს?!

გიორგი ბერიაშვილი,
იურისტი

გასაღები! დიახ, ეს ის წყეული და დასაქცევი სიტყვაა, რომელსაც, ჩემი ნება რომ იყოს, ქართული სალიტერატურო ენიდან საერთოდ ამოვიღებდი, მის მხსენებელს კი სოლიდური თანხით დავავჯარიმებდი. „გასაღები“ ჩვენი ვერაგი მტრის ბასრი იარაღი გამოდგა, რომელმაც ლამის მთელი საქართველო ორად გახლიჩა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოპაექრეებად აქცია.

უცხო, საქმეშიჩაუხედავი კაცი კი, იტყოდა, ეს ალბათ ის გასაღებია, რომელიც გახსნის ბანკის ფულსაცავს, ოქროულის შესანახ სეიფს ან სამოთხისკენ მიმავალი გზის ბოლოს, კარიბჭის ბოქლომსო.

რატომ ატყდა გნიასი იმასთან დაკავშირებით, ვინ გააკონტროლოს სატელეფონო, ინტერნეტ ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ინფორმაციის უშიშროება და სტაბილურობა? მე თუ მკითხავთ, მოსმენებზე წვდომა და მოსასმენი აპარატურის გასაღები უნდა ჰქონდეს ქვეყნის უშიშროებისა და უსაფრთხოების სამსახურს. და რადგან ეს უწყებები დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაშია, ესე იგი — შინაგან საქმეთა სამინისტროს. იმიტომ, რომ კონსტიტუციითა თუ სხვა საკანონმდებლო აქტებით, შსს, თავის უშიშროების, უსაფრთხოებისა და კონტრდაზვერვის სამსახურებთან ერთად, არამარტო უფლებამოსილი, ვალდებულიცაა დაიცვას ქვეყნის უშიშროება, სუვერენიტეტი და უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი და თითოეული მოქალაქის სიმშვიდე. შსს-ს ევალება აღკვეთოს დანაშაული, გამოავლინოს და გახსნას ჩადენილი კანონდარღვევა. შსს და უშიშროების სამსახურები ეწევიან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ მიზნის მიღწევაში კი მათ ხსენებული საკომუნიკაციო საშუალებები დიდ დახმარებას უწევს.

მაშ ვის უნდა ჰქონდეს ის დაწყევლილი გასაღები, თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს? რომელი უფრო მძიმეა, რამდენიმე ათეულ, ასეულ ადამიანს მოუსმინონ თუნდაც ფარულად, უკანონოდ, თუ საფრთხე შეექმნას ქვეყნის უსაფრთხოებასა და ძლიერებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველისთვის მიმინდია.

აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ ნაცბანდის ბატონყმობის პერიოდში პოლიცია იყო გესტაპოსდარი, რომელიც სატელეფონო მოსმენებს შანტაჟის, ადამიანთა გაუბედურებისა და დაჩმორების იარაღად იყენებდა. თითოეული მოსმენა მხოლოდ ამ ერთ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ქვეყნის პოლიცია სამუდამოდ კეთროვნად შერაცხო და ანათემას გადასცე.

ამ საქმეში მთავარი ის კი არ არის, ადრინდელი ტოტალიტარული რეჟიმის ცოდვების გამო, საიდუმლოდ მოსმენების წვდომაზე გასაღები პოლიციას საჯაროდ ჩამოვართვათ. გამოსავალია ისაა, პოლიცია მორალურად, პროფესიონალურად, თუნდაც, კადრობრივად გავაჯანსაღოთ და გავწმინდოთ იმ უღირსი პიროვნებებისგან, რომლებიც მზაკვრულ ცოდვებს სჩადიოდნენ. ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება და არა მათთვის უფლებების აყრაზე ან მათგან მტრის ხატის შექმნაზე.

თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, საქართველოს სასამართლოებში, მოსამართლეთა თითქმის 80%-ს ნაცბანდის პერიოდში, უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გამოტანაში აქვს ხელი გასვრილი. მაშ რა ვქნათ, გავაუქმოთ სასამართლოც, აღარ მივცეთ უფლება აღასრულონ მართლმსაჯულება, ეჭვის თვალით ვუყუროთ ამ ინსტიტუტსაც? და ვის დავავალოთ ეს ფუნქცია, სახალხო დამცველს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას თუ სააკაშვილის მიერ შექმნილ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას?

კანონი შეიძლება დაიხვეწოს მოსმენების კანონიერების თაობაზე. შსს-ს უნდა შეეძლოს კანონიდან გამომდინარე მოუსმინოს ყველას და ეს მოსმენა, უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ძლიერებას, უსაფრთხოებას, ხალხის კეთილდღეობას, სიმშვიდეს და არა ადამიანთა შანტაჟს. კი, ბატონო, მომისმინონ მეც — სამაგიეროდ, ტელეფონზე საუბრისას და ინტერნეტით სარგებლობისას იქნებ ვისწავლოთ და ზომიერება, თავშეკავება და წინდახედულობა გამოვიჩინოთ. თუ ტელეფონზე დანაშაულზე, შეთქმულებაზე, ქვეყნის ღალატზე ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე იქნება საუბარი, უნდა მოუსმინონ კიდეც და საკადრისი პასუხიც უნდა მოსთხოვონ. რაც შეეხება პირად საუბრებს, პირადულ ან ინტიმურ საკითხებზე, ვისაც ძალიან გვაშფოთებს და გულს გვიღრღნის, თუკი გვეშინია, ცოტა თავი შევიკავოთ და ამ თემაზე პირისპირ შეხვედრისას ვილაპარაკოთ.

„მოსმენების კანონზე“ გნიასი ატყდა, მაგრამ რომელმა დეპუტატმა, უმცირესობიდან ან გინდაც, პატივცემული უმრავლესობიდან გადადო თავი თუნდაც სამართლიანობის აღდგენისთვის საბრძოლველად? პარლამენტი, არჩევიდან პირველ თვეებში იმით დაკმაყოფილდა, რომ სულ რაღაც 180 კაცი გამოაცხადა პოლიტპატიმრად, დანარჩენების სამართალმა კი ჩაილურის წყალი დალია.

ათასობით ადამიანს გაუმწარეს სიცოცხლე, უკანონოდ დაიჭირეს, ცოცხებით გააუპატიურეს, ქონება წაართვეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს, ბინებიდან გამოყარეს... და რომელმა პარლამენტარმა ამოიღო ხმა და მოითხოვა ამ დარღვეული უფლებების გამო სამართლიანობის აღდგენა? ვინ დააყენა ნაციონალური მოძრაობის, როგორც დანაშაულებრივი, მაფიოზური პოლიტიკური ორგანიზაციისა და რეჟიმის გასამართლების საკითხი? ვინ გამოიჩინა თავი, ღირსებააყრილი ხალხის უფლებების აღსადგენად? დადგება დრო, მათაც მოეთხოვება პასუხი ყოველივე ამის გამო.

იუსტიციის მინისტრს დავალებული ჰქონდა მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი და დამდგენი კანონპროექტის შექმნა. ხალხს იმედი გაუჩნდა — შესაბამისი კანონის საფუძველზე კომისია შეიქმნება, რომელიც ჩვენს პრობლემებს მოაგვარებსო, მაგრამ თეა წულუკიანმა ღირსებაშელახულ ყველა მოქალაქეს ცივი წყალი გადაასხა — კანონპროექტი შევაჩეროთო. არ უთქვამს რა ვადით: ცოტა ხნით, დიდი ხნით, უვადოდ, უსასრულოდ, სამუდამოდ თუ იურისტების ენით რომ ვთქვათ, ხანდაზმულობის ვადით. ვადა იმიტომ არ დაასახელეს, რომ ხალხს გული არ გახეთქვოდა. თუმცა, ეს არც ანაღვლებდათ. კარგად იციან, რომ ადამიანს ხვალინდელი დღის დიდი იმედი აქვს და ამ საქციელით, მოლოდინი გაუხანგრძლივეს მხოლოდ. შსს-სთვის მოსმენების გასაღების ჩამორთმევაზე თავგადაკლულმა რომელმა დეპუტატმა გაიგიჟა თავი სამართლიანობის აღდგენის კანონპროექტის განხილვის თაობაზე? რატომ არ უთხრა ვინმემ თეა წულუკიანს, რომ სამართლიანობის აღდგენა და უდანაშაულო, რეპრესირებული ადამიანების რეაბილიტაცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო და ამის შეუსრულებლობას მათ არავინ აპატიებდა? რაშია საქმე? ვის ემსახურებიან? ვის დაკვეთას ასრულებენ? ყველამ გაითავისოს, რომ ქართველი ხალხის და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის დესპანები არიან პარლამენტში და ხალხს უნდა ემსახურონ. მათ რწმუნების მანდატი ჩვენგან აქვთ და ჩვენს ინტერესებს უნდა იცავდნენ. სწორედ იმ ვაიდეპუტატებზე ვსაუბრობ, რომლებსაც მარტო ხალხის ინტერესები კი არა, ქვეყნის უშიშროება და უსაფრთხოებაც არაფრად მიაჩნიათ. ისინი მხოლოდ პირადი ამბიციებით ხელმძღვანელობენ და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. სხვა ყველა და ყველაფერი, მათი გადმოსახედიდან, ცეცხლსა და ღვარცოფსაც წაუღია.

სპირინგი – ესთეტიკა თუ ინფექციის წყარო

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

რა დაავადებები შეიძლება „აიკიდოთ“ ტატუსალონებში და რატომ არავინ აკონტროლებს მათ საქართველოში

საქართველო, ჯანდაცვის მხრივ კარგა ხანია სერიოზული გამოწვევების წინაშე რომ დგას, არახალია: სხვადასხვა ვირუსული ინფექციები სულ უფრო მასშტაბური ხდება, ხოლო ინფიცირებულთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ასეთი მცირე მოსახლეობისთვის, რბილად რომ ვთქვათ, „ფუფუნებაა“. გარკვეული პერიოდის წინ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ საკმაოდ მკაცრი კონტროლი დააწესა სტომატოლოგიურ კლინიკებზე, სადაც ჰეპატიტით დაინფიცირების რისკი მაღალია, თუმცა დღემდე არაფერი ეშველა კიდევ ერთ სუსტ წერტილს — ტატუსალონებს, სადაც C ჰეპატიტის „აკიდება“ უფრო მარტივია, ვიდრე თავად ტატუს გაკეთება. გასაგებია, რომ განვითარებადი ქვეყნისთვის ამ საკითხის დარეგულირება ადვილი არ არის მაშინ, როცა ევროპა და აშშ-ც უძლურია: მაგალითად დიდ ბრიტანეთში ტატუს გაკეთების მსურველთა რაოდენობამ ჯანდაცვის სამინისტრო აიძულა, შემოეღო ლიცენზირების ახალი წესები კოსმეტიკური დაწესებულებებისთვის. მთავარი პრინციპები შემუშავდა Vocational Training Charitable Trust-ის, არაკომერციული ორგანიზაციის მიერ, რომელიც ამოწმებს კოსმეტიკური მომსახურების ხარისხს; რაც შეეხება აშშ-ს, იქ „ტატუირების სამყარო“ ხელისუფლების ზეწოლას ახლაც განიცდის: მასაჩუსეტსში ტატუირება აკრძალულია და 300-დოლარიან ჯარიმას ან ერთწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. ნიუ იორკში ეს ბიზნესი არალეგალურია, პენსილვანიაში, კალიფორნიაში, კონეკტიკუტსა და ლუიზიანაში 18 წლამდელებისთვის იკრძალება; ვერმონტში, ოკლაჰომასა და სამხრეთ კაროლინაში ტატუსალონებს კანონი კრძალავს, ვირჯინიის შტატის კანონით კი დაშვებულია მხოლოდ პროფესიონალური სალონები.

ვერაფერს იტყვი, აკრძალვა საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა საინტერესოა, რატომ ებრძვიან ასე ტატუსალონებს? — პასუხი საკმაოდ მარტივია და ტატუს მოყავარულთა სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ აძლევს — C ჰეპატიტით დაინფიცირების მაღალი რისკი!

დაინფიცირების ძირითადი გზა სწორედ ინფიცირებული სისხლის მოხვედრაა ჯანმრთელ ორგანიზმში. თეორიულად ეს შეიძლება სხვადასხვა მეთოდით მოხდეს, მაგალითად აცრით ან სტომატოლოგთან ვიზიტისას, მაგრამ ფაქტია — არც ტატუირების დროს ვართ დაზღვეულნი. სამედიცინო დაწესებულებებში მკაცრად კონტროლდება სანიტარული ნორმები, მაგრამ ტატუსალონებში ასე არ არის.

„ვერსიამ“ სცადა გაერკვია, საქართველოში თუ არსებობს ამ სალონების კონტროლის მექანიზმი ან თუნდაც მცირე, უმნიშვნელო რეგულაცია, რომელიც სანიტარულ ნორმებს გააკონტროლებს და ჩვენ მხოლოდ „ტატუიროვშჩიკების“ კეთილსინდისიერებაზე არ ვიქნებით დამოკიდებულნი, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტროდანაც და სამედიცინო რეგულირების სააგენტოდანაც ერთი და იგივე პასუხი მივიღეთ — ტატუსალონი სამედიცინო დაწესებულება არ არის და შესაბამისად, მათი გაკონტროლება ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის.

არადა, არსებობს წესები, რომელსაც ყველა „ტატუიროვშჩიკი“ უნდა ემორჩილებოდეს: სტერილური ნემსი აუცილებლად კლიენტის თვალწინ უნდა გაიხსნას ისევე, როგორც სტერილური ხელთათმანი, რომელიც ხელოსანმა იმდენჯერ უნდა მოიხსნას და გადაყაროს, რამდენჯერაც სამუშაო ადგილს დატოვებს; ყველა ნივთი, რომელსაც შეიძლება სისხლთან ჰქონდეს კონტაქტი (ხელთათმანი, პირსახოცი, ბამბის ჩხირი) უტილიზებული უნდა იყოს და ყოველი კლიენტის მიღებამდე, სამუშაო ადგილი აუცილებლად სველი წესით უნდა დასუფთავდეს.

წესი ასეთი ყოფილა, თუმცა საკითხავია ვინ ემორჩილება მას, განსაკუთრებით საქართველოში? შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ რამდენიმე ტატუსალონში არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, მსუბუქი ვირუსის აკიდება სამაღარიჩო საქმეა, რადგან რაც საკუთარი თვალით ვნახე, არც სანიტარულ ნორმებში ჯდება და არც ეთიკის — კაცმა არ იცის, ნემსი სტერილური იყო თუ არა, ერთჯერადი თუ მრავალჯერადი გამოყენების, ტატუიროვშჩიკმა, სანამ ვესაუბრებოდი, მინიმუმ სამჯერ დატოვა სამუშაო ადგილი, მობილურზე შეყვარებულთან საუბარი რომ აღარ ჩავთვალო და ერთხლაც არ უფიქრია ხელთათმანის გამოცვლა... ამასობაში, ვუთხარი, რომ გადავიფიქრე და მგონი, გადავურჩი ფერად ნახატსაც და მინიმუმ ალერგიასაც.

არაფერს ვამტკიცებთ და იმედია, ისეთი სალონებიც არსებობს, სადაც საკუთარ პრესტიჟზე მაინც ზრუნავენ, კლიენტის ჯანმრთელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ტატუირება და კონტროლი არავის ადარდებდა, რადგან ცოტა თუ მოიძებნებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც ისურვებდა, სამუდამოდ გაეფერადებინა საკუთარი სხეული, მაგრამ ფაქტია — ახლა ვითარება შეცვლილია და ამერიკის ჯანდაცვის ფედერალური ორგანოები პერიოდულად აფრთხილებენ მოსახლეობას, რომ ვერ აკონტროლებენ ყველა ტატუსალონის საქმიანობას და შესაბამისად, ვერ იძლევიან გარანტიას, რომ იქ გამოყენებული ინსტრუმენტები და საღებავები აბსოლუტურად უსაფრთხოა.

Centers for Disease Control and Prevention (CDC)-ის მონაცემებით, ყველაზე გავრცელებული რისკი ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ტატუს გაკეთება სურთ, კანის დაავადება — იმპეტიგოა, ასევე არ არის გამორიცხული ალერგიული რეაქცია იმ პიგმენტებზე, რომელიც ტატუირებისას გამოიყენება. ვისაც ეგზემა აქვს, უნდა იცოდეს, რომ ტატუ ხელს უწყობს დაავადების განვითარებასა და ახალი კერების გაჩენას, ხოლო რაც შეეხება C ჰეპატიტს, ამერიკულ ჟურნალ Medicine-ში გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, შანსი, ტატუირებულმა ადამიანმა ეს საშიში ვირუსი აიკიდოს, 9-ჯერ მეტია.

ახალგაზრდები და პატიმრები C ჰეპატიტითა და სხვა ინფექციური დაავადებებით დაინფიცირების მაღალი რისკის ზონაში არიან, — ამტკიცებენ სწავლულები ბრიტანული უნივერსიტეტიდან, რომელთაც შეისწავლეს 124 შემთხვევა 30 ქვეყნიდან: კანადიდან, ირანიდან, იტალიიდან, აშშ-დან და აღმოჩნდა რომ C ჰეპატიტი უშუალო კავშირშია ტატუირებასთან, კვლევა კი International Journal of Infectious Diseases-ში გამოქვეყნდა.

C ჰეპატიტი ადვილად გადადის ნემსისა და პიგმენტების რამდენჯერმე გამოყენების შედეგად და სხვათა შორის, საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ კანქვეშა ტატუ, არამედ დროებითიც, აშშ-ში კი აკრძალვა განსაკუთრებით იმ პიგმენტებზე ვრცელდება, რომელიც ინას საფუძველზეა დამზადებული, რადგან ის ჯანმრთელობისთვის მავნედ ითვლება და იწვევს კანის დაავადებებს. ასეთი სარისკო ნივთიერების გამოყენება კი ტატუირებისას, როცა კანი პიგმენტის შესაყვანად 80-150 -ჯერ იჩხვლიტება, საკმაოდ საშიშია.

ექიმი სიავაშ ჯაფარი მიუთითებს ტატუირების იარაღების სტერილიზაციის აუცილებლობაზე და დასძენს, რომ ხშირად სალონებში საღებავებს არასტერილურ კონტეინერებში ინახავენ, რაც ინფექციის გადადების მთავარი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ტატუირების სხვა რისკები რომელიც მეცნიერულადაც დადასტურდა, არის ალერგიული რეაქციები, B ჰეპატიტი, ბაქტერიული ინფექციები, რაც არანაკლებ ვლინდება ტატუს მოშორებისასაც. სწორედ ამიტომ მსოფლიო მკვლევარები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, გაამკაცრონ კანონი და კონტროლის მექანიზმი, რადგან ტატუსთვის საჭირო საღებავები შეიძლება შეიცავდეს საყოფაცხოვრებო საღებავს, კომპიუტერის პირნტერის საღებავსა და უამრავ ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც ნემსის ერთი ჩხვლეტით ხვდება ორგანიზმში და ილექება თირკმელსა თუ ლიმფურ კვანძებში.

ასე რომ, თუ ტატუს გაკეთება გსურთ, დაფიქრდით, ღირს თუ არა, ფერადი ნახატი გარისკვად, მით უმეტეს, რომ კონტროლის არანაირი მექანიზმი არ არსებობს და თუ ტატუსალოდან გამოსულს, უკეთეს შემთხვევაში, ალერგია დაგემართებათ, იცოდეთ — პასუხს ვერავის მოსთხოვთ.

„რეალურად არც ვიცით, რა საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მდინარეები“



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისთან, მდინარე მტკვარში წყლის დონის კლება დააფიქსირა. მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, თურქეთის სატყეო და წყლის რესურსების მინისტრს ეროღლუს წერილი გაუგზავნა. გარემოს დაცვის სამინისტროში განმარტავენ: **„თურქული მხარე წუხს და განმარტავს, რომ მიმდინარეობს საქართველოს საზღვრიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარე „ქაიაბეის“ კაშხლის შევსება ზამთრის სეზონისთვის, რამაც მტკვარში წყლის დონის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ამის შესახებ თურქულმა კერძო კომპანიამ დროულად არ აცნობა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რის გამოც დაგვიანდა ქართული მხარის ინფორმირება. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მკაცრად მიუთითა კერძო კომპანიას, დაიცვან შესაბამისი ნორმები წყალაღებასთან დაკავშირებით და დაგვპირდა, რომ ამგვარი გაუგებრობა აღარ განმეორდება. ხოლო, ქართულ მხარეს დაუყოვნებლივ ეცნობება ნებისმიერი სამუშაოების შესახებ, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მტკვარში წყლის დონეზე. საქართველოსა და თურქეთის მეგობრობიდან გამომდინარე, მზადდება მემორანდუმი, რომელიც მომავალში ცალმხრივ გადაწყვეტილებას გამორიცხავს“.**

თურქული მხარის ინფორმაციით, წყლის მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე ნორმალურ დონეს დეკემბრის შუა რიცხვებისთვის დაუბრუნდება. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მტკვარი საქართველოში დიდ რესურსს იმატებს და შესაბამისად, წყლის დონის დროებითი შემცირება დიდ რისკს არ შეიცავს. მიუხედავად ამისა, უწყება განუწყვეტლივ აწარმოებს მონიტორინგს. „ვერსიასთან“ საუბრისას ეკოლოგი **ლაშა ჩხარტიშვილი** აცხადებს, რომ მდინარეებთან, მათ შორის მტკვართან დაკავშირებული გამოწვევები ქართულ მხარეს სათანადოდ გააზრებული არ აქვს და პრობლემებიც ამიტომ ჩნდება: **„საქართველოს ხელისუფლებას ეს პრობლემა სათანადოდ არ აქვს შესწავლილი. რეალურად არ ვიცით, რა საფრთხის წინაშე დგას მდინარეები, მათ შორის მტკვარი. ბოლო ფაქტმა მთავარ მდინარეს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. არასწორია, თითქოს თურქული კაშხლის წულით შევსების გამო მტკვარში წყლის შემცირება საფრთხეს არ წარმოადგენს. ეკოლოგიური ზიანის გარდა, სახეზეა ეკონომიკური ზარალიც — მდინარის თუნდაც თვენახევრით შეგუბებისას, სარწყავი წყლის პრობლემა იქმნება. პრობლემაა ისიც, რომ თურქულმა მხარემ ქართველი კოლეგები ღირსადაც არ ჩათვალა, საქმის კურსში ჩაეყენებინა. კარგია, ბოდიში რომ მოიხადეს, მაგრამ ეს საკმარისი არაა — მხარეები უნდა შეთანხმდნენ და მტკვრის ერთობლივი ექსპლუატაციის საქმეში, მდინარის დაცვის საკითხებზე როგორმე ითანამშრომლონ; ეს საჭირბოროტო საკითხი სამმხრივი უნდა იყოს და მასში აზერბაიჯანიც ჩაერთოს“.**

„შაშკინის ფავორიტების“ ნამდვილი სახე

ნინო ლურსმანაშვილი 593-51-52-04

განათლების სამინისტროსთან ორკაციანი მიტინგების ჩატარება შაშკინის ფავორიტებადწოდებული რამდენიმე ადამიანისთვის ლამის ტრადიციად და მთავარ საქმიანობად იქცა. ბოლო ასეთ თავყრილობაზე მათ ეჭვი გამოთქვეს, რომ 2015 წლის ბიუჯეტში მასწავლებელთა ხელფასების ზრდა და დანამატების გაცემა აღარაა დაგეგმილი. თამარ სანიკიძის უწყებაში აცხადებენ, რომ ბრალდება უსაფუძვლოა, ისტერიადქცეულ მიტინგებზე კი ვრცელ კომენტარს შეგნებულად არ აკეთებენ, მით უმეტეს, ყველა იმ აქციის ორგანიზატორები, რომელიც თითქოს განათლების სამინისტროსგან პედაგოგების დასაცავად მოეწყო, ერთი და იგივე პიროვნებები არიან — ერთ დროს ე.წ. ელიტური სკოლების დირექტორებისა თუ პედაგოგების სავარძლებში მოკალათებული ადამიანები, რომლებიც თანამდებობებიდან განათლების სამინისტროს შიდააუდიტის დასკვნების საფუძველზე გათავისუფლდნენ. 53-ე სკოლის ყოფილი დირექტორი ტარას შავშიშვილი, მოგვიანებით, მისი შემცვლელი მარიამ რამინაშვილი, 51-ე სკოლის ყოფილი დირექტორი დავით ლაგვილავა და პედაგოგი დავით ფერაძე. აქვთ ამ ადამიანებს მორალური უფლება, პედაგოგების სახელით ილაპარაკონ და მათი უფლებები დაიცვან? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მკითხველისთვის მას შემდეგ მიგვინდია, რაც მათი „საგმირო საქმეების“ შესახებ მოგახსენებთ — „ვერსიამ“ განათლების სამინისტროს შიდააუდიტის ის დასკვნები მოიპოვა, რომლებიც ტარას შავშიშვილისა და მისი „მუშკეტერების“ განათლების სისტემაში ჩამოლაბორანტორების საფუძველი გახდა და რომლის გამოც, მათი „ზეობის ხანა“ დასრულდა.

ოთხეულის ბეგრაუნდი

„საქმემან შენმან წარმოგაჩინოს“, — ნათქვამია. როგორ „წარმოაჩინა“ საქმემ ტარას შავშიშვილი, მარიამ რამინაშვილი, დავით ლაგვილავა და დავით ფერაძე? სანამ უშუალოდ ფაქტებზე გადავალთ, ხსენებული პირების იმ ბეგრაუნდს შეგახსენებთ, რომლის შესახებაც უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა.

ტარას შავშიშვილი და მარიამ რამინაშვილი, წინა ხელისუფლებისდროინდელი იმ დირექტორების სიაში არიან, რომელთა „წყალობით“, თავის დროზე, პოლიტიკური ნიშნით არაერთი პედაგოგი გათავისუფლდა სამსახურიდან და რომლებიც მოსწავლეებს, გაკვეთილის ნაცვლად, სააკაშვილის მიტინგებზე წასვლას აიძულებდნენ, სკოლას კი პირადი თუ პარტიული მიზნებისთვის იყენებდნენ. თანამდებობებიდან გათავისუფლების შემდეგ, ისინი დირექტორობისთვის კვლავ იბრძოდნენ, რაც თავის დროზე, პედაგოგებმა და მშობლებმა გააპროტესტეს კიდეც და განათლების სამინისტროს მოუწოდეს, არ დაეშვა სკოლის დირექტორებად ნაცმოძრაობის ფავორიტი კადრების დაბრუნება. ტარას შავშიშვილის სახელს უკავშირდება ორგანიზაცია „სინდიკატი“, რომელმაც პედაგოგთა უფლებების რეალური დამცველის — თავისუფალი პროფკავშირების დისკრედიტაცია მოახდინა. წინა ხელისუფლების პერიოდში ტარას შავშიშვილი თავისი „სინდიკატით“ ზენიტში რომ იმყოფებოდა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების ანგარიშითაც (2011-2012წწ) დასტურდება, სადაც წერია, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ ხდებოდა პროფესიული „სინდიკატის“ წახალისება ნამდვილი პროფკავშირის წინააღმდეგ. სწორედ ამ ორგანიზაციის წინა პლანზე წამოწევის შემდეგ „დაიმსახურა“ შავშიშვილმა 53-ე სკოლის დირექტორობა. ბატონი ტარასის ბიოგრაფიაში ეს ის პერიოდია, რომლითაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრა — ყველას კარგად ახსოვს მიხეილ (მიკა) ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის ფაქტი. მაშინ, შავშიშვილმა ალექსიძეს წინა ხელისუფლების საამებლად, გარიცხვა არ აკმარა და მთელი სისტემა ღიად დაუპირისპირა. შავშიშვილი ასევე ფიგურირებს სკოლის დირექტორთა საქმეებში. ერთ-ერთია თეა თუთბერიძის მიერ პროკურატურისთვის გადაცემული ფარული ჩანაწერის საქმე, რომელშიც ე.წ. უფლებადამცველი შავშიშვილი სკოლის დირექტორს წასვლას „ურჩევდა“. შავშიშვილი მაშინ, რეალურად ერთი „რიგითი“ დირექტორი იყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, სკოლის დირექტორების პოლიტიკური ნიშნით დევნის პროცესში შაშკინისთვის კარგი დასაყრდენი იყო.

სკოლის დირექტორობიდან გათავისუფლების შემდეგ, შაშკინმა ტარას შავშიშვილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილედ დანიშნა და მთავარი დარღვევებიც სწორედ ამ პერიოდში უფიქსირდება, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

დღეს, ტარას შავშიშვილი მოიაზრება მარიამ რამინაშვილის, დავით ლაგვილავასა და დავით ფერაძის წინამძღოლად, თუმცა მათ, როგორც ჩანს, კავშირი თავიდანვე ჰქონდათ. ბოლო პერიოდში „საგანმანათლებლო ასპარეზზე“ გამოჩენილი პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის (ამ ორგანიზაციის სახელით მოღვაწეობენ დღეს რამინაშვილი-ფერაძე-ლაგვილავა) უკანაც, ტარას შავშიშვილი დგას.

მხოლოდ ფაქტები

2013 წელს, ორი პროფკავშირის დავისა და განათლების სამინისტროში შესული საჩივრის შესწავლისას, უწყების შიდააუდიტის სამსახურმა დარღვევები აღმოაჩინა, განათლების სამინისტროს ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ), მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების სახლის საქმიანობაში. იმხანად, აღნიშნული სსიპ-ის დირექტორის მოადგილე ტარას შავშიშვილი გახლდათ. როგორც გაირკვა, იგი თანამდებობას ბოროტად იყენებდა, ისევ „მშობლიურ“ „სინდიკატს“ გულშემატკივრობდა, რომელიც უკვე მეუღლის სახელზე ჰქონდა გადაფორმებული. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს რეგიონებში ჩადიოდა, ხვდებოდა სკოლის დირექტორებს და მუქარით აიძულებდა, არ დაეტოვებინათ „სინდიკატი“, რაშიც ცხადია ფინანსური დაინტერესებაც ჰქონდა. დირექტორებთან შეხვედრებს, ტარას შავშიშვილი, „სინდიკატის“ რეკლამირება-აფიშირებისთვისაც იყენებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაეწევრიანებინა ორგანიზაციაში. რა თქმა უნდა, გაწევრიანება საწევროს შენატანსაც გულისხმობდა. „სინდიკატის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ მარიამ (ლალი) რამინაშვილიც. შავშიშვილი-რამინაშვილის ტანდემი ატარებდა ტრენინგებს, რომლებსაც მატერიალური უზრუნველყოფისთვის იყენებდნენ (გადაადგილების, დარბაზის... ხარჯები) და ტრენინგზე მისულ პედაგოგებსა თუ დირექტორებთან, მუდმივად აპელირებდნენ „სინდიკატზე“. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, მეთოდები საკმაოდ მიუღებელი ჰქონდათ — მუქარას, აგრესიასა და ძალადობას იყენებდნენ, დირექტორებს აიძულებდნენ, არ დაეტოვებინათ ორგანიზაცია. სკოლის ხელმძღვანელები მათთვის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, რადგან მათი წარმოდგენით, დირექტორის უკან, მისი სკოლის პედაგოგები მოიაზრებოდნენ. „ჩემ ხელში ხართ, მე უნდა გადაგამზადოთ, მე უშუალოდ ვმონაწილეობ თქვენ დანიშვნაშიც, ჭკვიანად თუ არ მოიქცევით, უმუშევრები დარჩებით“, — ამ შინაარსის განცხადება მაშინ შავშიშვილისგან არაერთმა დირექტორმა მოისმინა.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ქუთაისში შედგა და მას მარიამ რამინაშვილიც ესწრებოდა, რომელიც მაშინ უკვე იყო 53-ე სკოლაში შავშიშვილის მემკვიდრე, მაგრამ პარალელურად, მასწავლებლის სახლში მუშაობდა ტრენერად. ჯერ გორში ჩავიდნენ, სადაც „ტრენინგს“ სინდიკატის სხვა წარმომადგენელიც ესწრებოდა, როგორც მოგვიანებით თავი იმართლეს, ისე, უბრალოდ, შემთხვევით (?!). ქუთაისში კი, შავშიშვილმა გააჟღერა, რომ ის მფარველობდა ქუთაისის დირექტორებს. ძალიან შეურაცხყოფილი იყო, რომ ისინი გადიოდნენ „სინდიკატიდან“. დაემუქრა და უთხრა, ჩემი დამსახურებაა, აქამდე თანამდებობებზე რომ ხართ და თქვენ არ გეხებიანო. დირექტორებმა შავშიშვილთან ეს, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო საუბარი, სამართლიანად აღიქვეს, ძალადობად.

დადასტურდა, რომ ტრენინგებისთვის სახელწმიფოს მიერ გამოყოფილი თანხით, შავშიშვილი-რამინაშვილი „სინდიკატის“ საქმესაც აგვარებდნენ.

მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემდეგ განათლების სამინისტროს შიდააუდიტმა დადო დასკვნა, რომლის საფუძველზეც, მარიამ რამინაშვილი ტრენერობიდან, ტარას შავშიშვილი კი, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების სახლის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. რა თქმა უნდა, სამინისტროს ეს გადაწყვეტილება არც ერთს მოეწონა, რამინაშვილი კი შემდეგ მუდვიმად აპელირებდა, წყალი შავშიშვილთან თანამშრომლობის გამო, მასთან ერთად შემიყენესო. არადა, ამ ამბიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ქალბატონი მარიამი, 53-ე სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ისევ იყო — რადგან მისი, როგორც დირექტორის მიმართ არ არსებობდა (ჯერჯერობით) შენიშვნები, ის მხოლოდ ტრენერობიდან გაათავისუფლეს.

2014 წელს კი, განათლების სამინისტროში რამდენიმე საჩივრის შესვლის შემდეგ, შიდააუდიტმა ჯგუფი 53-ე საჯარო სკოლაში გაუშვა. მეტ-ნაკლებად, ალბათ ყველა სკოლაშია რაღაც დარღვევა, რომელთა გამოსწორება, უმტკივნეულოდ შეიძლება. აი, „რამინაშვილის სკოლაში“ კი, აუდიტს, დაუჯერებელი დარღვევები დახვდა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ სკოლის გარკვეული ფართები ვიღაც პირებზე ისე იყო გაცემული, არანაირი საჯარო ან სხვა ტიპის ხელშეკრულება არ არსებობდა. სკოლას ქონებას ეკონომიკის სამინისტრო გადასცემს. მის გამოყენებას კი გარკვეული წესები აქვს. დირექტორს არავინ უკრძალავს, სკოლის გარკვეული ფართი ეკონომიკური შემოსავლის მისაღებად გამოიყენოს, მაგალითად, იჯარით გასცეს ბუფეტისთვის, გაკვეთილების შემდეგ კონკრეტული წრეების ჩასატარებლად... მაგრამ ამ შემთხვევაში, შემოსული თანხა, სკოლის ბიუჯეტში უნდა შევიდეს და არა ვიღაცის ჯიბეში. 53-ე სკოლაში კი, შესაბამისი ხელშეკრულებების არარსებობის გამო, ცხადია, ვერავინ გააკონტროლებდა, სად მიდიოდა ფართების გაცემით შემოსული თანხა.

გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების უმეტესობის მიხედვით კი გაირკვა, რომ იჯარით გაცემა კანონდარღვევით ჩატარებული აუქციონის საფუძველზე მოხდა. დაფიქსირდა ასევე მოიჯარეების მხრიდან თანხის არდაგახდის ფაქტები, რაზედაც დირექტორს, რატომღაც (?!) პრეტენზია არ გამოუთქვამს და კანონის შესაბამისად, არც საურავები თუ სანქციები დაუწესებია. რატომ მოიქცა რამინაშვილი ასე? რატომ არ აწყობდა მოიჯარეების „მხილება“? კითხვა უამრავია, შესაბამისად ეჭვიც...

იყო ისეთი შემთხვევაც, როცა მოიჯარეს, ხელშეკრულებით, პირობითად იჯარით 60კვ/მეტრი ფართი ჰქონდა აღებული, რეალურად კი, 100 კვ/მეტრით სარგებლობდა.

დარღვეული იყო ბუღალტრული აღრიცხვის, შესყიდვის, ასევე ჟურნალის წარმოების წესიც. დოკუმენტები არ იყო წესრიგში, თითქმის არცერთი პირველკლასელის საქმე არ იყო მზად (აუდიტი ჩატარდა პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ), სტანდარტზემოთ სწავლების სხვადასხვა წრე კი, დირექტორის ბრძანებით (!) იყო შექმნილი. ასევე, აღმოჩნდა, რომ დისციპლინარულ კომიტეტში, ბოლო სამი წლის განმავლობაში წევრები არ შეცვლილა, რაც ასევე მნიშვნელოვანი დარღვევაა.

53-ე სკოლაში კანონდარღვევების აღმოჩენის შემდეგ, აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია იყო, მარიამ რამინაშვილი დირექტორის თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ და ასეც მოხდა.

კანონდარღვევებია დაფიქსირებული დავით ლაგვილავას შემთხვევაშიც. 51-ე საჯარო სკოლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის ყოველწლიური აუდიტი ჯერ კიდევ 2011 წელს დაიგეგმა, მაშინ, როცა განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი იყო. აუდიტის სამსახური სკოლაში 2012 წლის 28 ივნისს შევიდა, შემოწმება ივლისში დასრულდა, საბოლოო ანგარიში კი, 24 დეკემბერს დაიდო. ანგარიშში წერია, რომ პროგრამით გათვალისწინებული ინგლისურის გაკვეთილების ჩატარებაში მშობლებს ყოველთვიურად ფულს ახდევინებდნენ. ლაგვილავამ თავი იმით იმართლა, რომ უცხო ენის უკეთ შესწავლის მიზნით, კლასი გაყო და მეორე პედაგოგი შეუშვა. თუკი მსგავს გადაწყვეტილებას დირექტორი იღებს, დამატებითი პედაგოგი სახელმწიფოს ხარჯით უნდა შეუშვას გაკვეთილზე. ლაგვილავამ კი, „გამოსავალი“ იპოვა, 30 ბავშვს, თვეში 100-100 ლარს ახდევინებდა. აშკარაა, ინგლისურის სწავლებით მას საკმაო შემოსავალი ჰქონდა, რომლის ნაწილითაც პედაგოგს ხელფასს უხდიდა, ნაწილი კი, მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, სად მიდიოდა. ასეთი მიდგომით, დაირღვა კონსტიტუციაც, რადგან მოსწავლეებს უფასო სწავლების უფლება წაერთვათ. აღსანიშნავია ისიც, რომ სტანდარტზემოთ სწავლების წრეებზე, ბავშვების დიფერენცირება ხდებოდა — ერთიდაიგივე წრეზე, სხვადასხვა ბავშვი, სხვადასხვა თანხას იხდიდა. წრეებიდან შემოსული თანხიდან კი, სკოლის დირექტორი ხელფასის სახით პროცენტს იღებდა — ეს დამატებითი თავისტკივილია, ვწვალობ, დამატებით საქმიანობას ვეწევი და მეკუთვნისო.

დარღვევები აღმოჩნდა პედაგოგების ხელფასების გაცემის პროცესშიც. კანონდარღვევით იყო წარდგენილი შესყიდვების წლიური გეგმაც. ერთ-ერთ მომწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, შესაძენი ნივთების ჩამონათვალი არ იყო გაწერილი; დაფიქსირდა ასეთი შემთხვევაც: დირექტორმა ტენდერი გამოაცხადა გარკვეული რაოდენობის საგანზე, გამარჯვებული კომპანიისგან კი, იყიდა სხვა ნივთები. თავი კი იმით იმართლა, რაც მთავარია, საერთო თანხას არ გავცდიო; დარღვეული იყო ასევე ინვენტარიზაციის წესები.

დარღვევები აღმოჩნდა ფართების იჯარით გაცემის პროცესშიც — აქაც დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მოიჯარეს სხვა ფართზე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული და უფრო დიდი ფართით სარგებლობდა; ბუფეტისთვის ფართიც, კანონდარღვევით ჩატარებული კონკურსის წესით იყო გაცემული. საინტერესო იყო კიდევ ერთი ფაქტი — 2009 წელს, ლაგვილავამ, დაცვის ერთ-ერთ სამსახურთან გააფორმა ბარტერული ხელშეკრულება. დაცვის სამსახური სკოლას იცავდა, სანაცვლოდ კი, ლაგვილავა, მათ სახელმწიფო ქონებას — სკოლის დარბაზს უთმობდა სავარჯიშოდ, რაც კანონდარღვევაა.

„ვერსიის“ ინფორმაციით, განათლების სამინისტროს შიდააუდიტის სამსახურის ერთ დასკვნაში პედაგოგი დავით ფერაძეცაა ნახსენები. სწორედ ამ დოკუმენტით მტკიცდება, რომ ფერაძე ცრუობს, როცა ამბობს, სამინისტრო სკოლიდან ჩემს გაგდებას ცდილობდაო. 2013 წლის ოქტობრის თვეში, უწყებას, სკოლის მანდატურმა, მოხსენებითი ბარათის საშუალებით აცნობა, რომ მე-11 კლასში სამოქალაქო განათლების გაკვეთილი არ ჩატარდა. სამინისტროს წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული გაკვეთილი დავით ფერაძეს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ რადგან მასწავლებელი სკოლაში არ იმყოფებინა, მოსწავლეები შინ წავიდნენ. გაირკვა ისიც, რომ მეთერთმეტეკლასელები სკოლიდან დირექტორის მოადგილემ გაუშვა, თანაც ისე, მშობლები საქმის კურსში არავის ჩაუყენებია და ბავშვების უსაფრთხოების წესები დაირღვა. საგანში „სამოქალაქო განათლება“ შერწყმულ გაკვეთილებს, ხან პედაგოგი, ხან შსს-ს წარმომადგენელი, ხანაც ორივე ერთად ატარებს. ფერაძემ თავი იმართლა, არ ვიცოდი რომ იმ კონკრეტულ დღეს გაკვეთილზე მე უნდა შევსულიყავი, მეგონა მხოლოდ შსს-ს წარმომადგენელი ატარებდაო. შესაბამისად, განათლების სამინისტროს შიდა აუდიტმა, სკოლის დირექტორს გაფრთხილება და რეკომენდაცია მისცა, გარკვეულიყვნენ ვითარებაში და შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ. ფერაძის რაიმე ფორმით დასჯაზე კი, აუდიტის დასკვნაში არაფერია ნახსენები და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან კონკრეტულ პედაგოგებს, კონკრეტულ ქმედებებზე, პასუხისმგებლობას სკოლის დირექტორი აკისრებს.

„ვერსიის„ ინფორმაციით ტარას შავშიშვილის, მარიამ (ლალი) რამინაშვილისა და დავით ლაგვილავას საქმეები პროკურატურაშია გადაგზავნილი. საბოლოო სიტყვას, შესაბამისი უწყებები იტყვიან. მანამდე კი, დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია. თავად განსაჯეთ, შავშიშვილი-რამინაშვილი-ლაგვილავა-ფერაძის ოთხეული რეალურად პედაგოგთა უფლებადამცველები არიან თუ რევანშისტები, რომლებიც ყველა მეთოდით ცდილობენ, დაკარგული პრივილეგიები და საუკეთესო დირექტორ-პედაგოგის იმიჯი, რადაც უნდა დაუჯდეთ, დაიბრუნონ.

1. ძაღლის ჯიში
2. ქართული ხალხური სიმღერა
3.ორი არასურველიდან ერთის არჩევა
4. სიმებიანი საკრავი
5. ვენერიული დაავადება
6. ფაშისტთა საკონცენტ. ბანაკი
7. ხრიკი, ფანდი
8. მოძღვ. მმვენიერების ფორმების შესახებ
9. იგივეა, რაც ავგაროზი
10.ყურძენიზაბელას მეორე სახელი
11. ინერტული აირი
12. წყალხმელეთა ცხოველი
13.მთიანი მხარე საქართველოში
14. მოხულიგო ახალგაზრდა
15. ძველებური შუბის სახეობა
16. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
17. გრიგოლ რობაქიძის პიესა
18. ჩვენი მგოსნის სახელი
19. ადამიანის სამეტყველო ორგანო
20. სუმოისტ ლევან ცაგურიას სპორტული ფსევდონიმი
21. იგივეა, რაც თაღი
22. რომის პაპის გვირგვინი
23.მარიტას ბებია
24.იგივე სურდო
25. ქედი საქართველოში
26. იგივეა, რაც ნამი
27. მოხარშული ცომის წვრილი ნაჭრები
28. ფრანგული ავტომარკა
29. მდინარე აზიაში
30. ზევსის ერთ-ერთი ვაჟი
31. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
32. ტიბეტური ხარი
33. ფრანგი სიმბოლისტი პოეტი
34. ცხოველთა სამყარო
35. ირანის დიდი შაჰი
36. ტაჯიკური ლიტერატ. კლასიკოსი
37. პარკოსანთა ოჯახის მცენარე
38.თავდავიწყებით გატაცება რაიმეთი
39.ადამის და ევას ვაჟი
40. ინდიელთა ტომი
41.სადეზინფექციო ქიმიური ელემენტი
42. წამლის ბურთულა
43. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
44. ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
45.ლოცვის დასკვ. სიტყვა
46.ბგერის ნიშანი
47. მელვილის რომანი „... დიკ“
48. გასეირნება ბავშვის ენაზე
49. ინგლისელი მწერალი
50. დიდი დანიელი ფიზიკოსი
51. დამუხტული ატომი
52. XVIII ს. სპარსი პოეტი
53. მიმართვა ქსანელი მამაკაცისადმი
54. ბერძნული ანბანის II ასო
55. ფედერიკო ფელინის მეუღლე
56. ზომიერი ტემპი მუსიკაში
57. ესკიმოსთა ყინული ქოხი
58.თავისუფალი ფორმის ნარკვევი
59.ქოლერის გამომწვევი
60.მტაცებ. ფრინველი
61. სიჰაერო ფლოტი
62.აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
63. ნაპოლეონის კარის მხატვარი
64. თმის მცენარეული საღებავი

„სექსუალური“ ფაფა ქალებისა და კაცებისთვის

შეიძლება ითქვას, ფაფა, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი რამაა პლანეტაზე, რაზეც შეიძლება ითქვას, რომ სექსუალურია. თუმცა, კანადელმა მეწარმემ, პიტერ ერლიხმა შეცვალა ეს მოსაზრება — მან ორი სხვადასხვა სახეობის ფაფა მოიფიქრა, სახელწოდებით SexCereal, რომელიც მამაკაცებისა და ქალების სექსუალურ ჯანმრთელობას უწყობს ხელს. მეწარმის თქმით, კაცების საუზმე ტესტოსტერონის ბალანსის თანხვედრი უნდა იყოს, სუსტი სქესისთვის განკუთვნილი ვარიანტი კი — ქალების ჰორმონალური ბალანსისა. ამის გამო, „კაცების“ ფაფა შეიცავს სხვადასხვა დანამატს — ყვავილების მტვერს, პურის, ყაყაჩოს, გოგრის თესლს, გოჯის ნაყოფს, შვრიასა და კაკაოს. ქალებისთვის განკუთვნილში კი დამატებულია კოჭა, კაკაოს მარცვლების გული, მზესუმზირა, სელის თესლი, შვრია, ყაყაჩო და ნუში. საბოლოო ჯამში, ფაფა SexCereal ჩვეულებრივ, ჯანსაღ საუზმეს ჰგავს. ერლიხი ამბობს, რომ „სექსუალური“ ფაფის შექმნის იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც ვეგანთა ბაზარში მოხვდა.

თავის დარტყმამ თვალი აუხილა

ახალზელანდიელმა ახალგაზრდა ქალბატონმა, ლიზა რეიდმა მხედველობა 11 წლის ასაკში, სიმსივნის გამო დაკარგა. მას შემდეგ გოგონას ქვეყნის უსინათლოთა ფონდი ეხმარებოდა მორალურად თუ ფინანსურად. ლიზა ოცნებობდა, ერთ მშვენიერ დღეს, სამყარო ისევ დაენახა, თუნდაც ბუნდოვნად. იგი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ერთ დღეს ოცნება აუხდებოდა — 13-წლიანი უსინათლობის შემდეგ, ლიზა საყვარელი ოთხფეხა მეგობრის მოსაფერებლად და საკოცნელად რომ დაიხარა, შემთხვევით თავი ჟურნალების მაგიდას ჩამოარტყა, მეორე დღეს კი 100%-იანი მხედველობით გაიღვიძა. თვალისჩინის დაბრუნება ყველაზე დიდი სასწაულია ჩემს ცხოვრებაში, ბედნიერი ვარ, რომ ისევ ვხედავ ჩემს საყვარელ ახლობლებს, მთელ სამყაროს, — ამბობს ლიზა.

ვიცრაფი დიდმკერდიანი მანეკენებით მოითქვ

ვენესუელაში ქალის მანეკენის ინოვაციური მოდელი მოიფიქრეს — გადიდებული მკერდით, ფეხითა და უკანალით. ასე ისინი უფრო ჰგვანან სუსტი სქესის ნამდვილ წარმომადგენლებს, — მიაჩნია პლასტმასის სხეულების მწარმოებელ ფირმას. აქ ქალის შინაგანი სილამაზის არ სჯერათ, მათი აზრით, ის არ არსებობს. როგორც მანეკენების მწარმოებელი ფირმის მფლობელი აცხადებს, ქალების შეხედვისას მამაკაცები, პირველ რიგში, მათ სხეულზე ამახვილებენ ყურადღებას. რა აქვს მანდილოსანს თავში ან სულში, როგორც წესი, არ აღელვებთ, — დარწმუნებულია ბიზნესმენი, რომელიც ქვეყანაში სილამაზის სტანდარტების კანონმდებლად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტები აღშფოთებულები არიან ბიზნესმენის განცხადებით, იმ მაღაზიების გამყიდველები, სადაც ახალ „ფორმიანი“ მანეკენები დადგეს, ამბობენ, რომ მათი საქონელი ახლა გაცილებით უკეთ იყიდება. აღსანიშნავია, რომ ვენესუელაში სილამაზის სტანდარტები მართლაც მაღალია. აქაური მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, ღარიბებიც კი, პლასტიკურ ოპერაციას იკეთებენ გარეგნობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ხშირია ტრაგიკული შემთხვევებიც.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲠᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4					6		5	
		2	3				4	1
	6				9		8	
3		5						
			9		4			
						7		4
	7		1				3	
6	2				5	1		
	9		6					2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8			6	1			2	
				4	9		6	
1					5			4
		9			7	6		
		5	2			9		
9			1					5
	1		9	8				
	4			5	2			1

ᲠᲗᲣᲚᲘ

		6	5	3				8
						7	6	
					6	3		4
8	9	3		7	1			5
1			9	6		8	7	3
9		1	2					
	2	7						
5				9	3	2		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	9	7	1					
6			3	2				
3					8			5
	5		6			2		
		9		7		4		
		6			2		7	
9			2					4
				4	6			8
					5	3	6	

ურნა გარდაცვლილის თაკვით

ვერმონტში არსებულმა კომპანიამ Cremation Solutions გარდაცვლილთა ფერფლისთვის განკუთვნილი ახალი ურნების გაყიდვა დაიწყო, რომელთაც მიცვალებულის თავის ფორმა აქვს. ჭურჭელი 3D-ტექნოლოგიით, ადამიანის სიცოცხლეში გადაღებული ფოტოების მიხედვითაა დამზადებული და მსურველს ორი ზომის შეკვეთა შეუძლია — 30-სანტიმეტრიანის ღირებულება 2600 დოლარია, 15-სანტიმეტრიანისა კი 600. კომპანია ვალდებულებას იღებს, შეკვეთა ორ კვირაში დაამზადოს. ყველა ჭურჭელს მარმარილოს სადგამი მოყვება, რომელიც გადაბრუნებისგან დაიცავს, კომპანიას საკუთარ საიტზე, სიახლის მეტი თვალსაჩინოებისთვის, აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამასთავიანი ურნა აქვს განთავსებული.

მულტიკონფესიურ სვიტერს ყიდიან

დიდ ბრიტანეთში გაყიდვაში გამოვიდა მულტიკონფესიური საშობაო სვიტერი, რომელზეც გამოსახულია თითქმის ყველა რელიგიური მიმდინარეობისა და მსოფლმხედველობის სიმბოლიკა.

საიტზე კი, სადაც საშობაო ჯემპრი იყოდება, მითითებულია, რომ დიდი ბრიტანეთი არასოდეს ყოფილა უფრო მულტიკულტურული, ვიდრე ახლაა. გვინდა, ნებისმიერმა ადამიანმა იზეიმოს შობის დღესასწაული ამ სვიტერში კანის ფერის, კულტურისა და მსოფლმხედველობის მიუხედავად, — ამბობენ სიახლის ავტორები. ჯემპრის ღირებულება 40 გირვანქა სტერლინგია და მისი მიწოდება კლიენტებისთვის მომავალი თვიდან დაიწყება.

ბავშვებს წერას აღარ ასწავლიან

ფინეთის განათლების სამმართველოში მიაჩნიათ, რომ დღეს ბავშვებს წერის უნარჩვევები უფრო ნაკლებად სჭირდებათ და სჯობს, ბეჭდვა ისწავლონ. 2016 წლის შემოდგომიდან უმცროსკლასელები აღარ ისწავლიან მართლწერას. ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლებში აქცენტი ბეჭდვის სწავლებაზე გაკეთდება. ეს ცვლილება არ ნიშნავს, რომ ხელით წერა აღარ იქნება საჭირო. ასოების წერას ბავშვებს ფაკულტატურად შეასწავლიან. ახალი წესები ჩვენი სკოლების რეალობას ასახავს, უფროსკლასელთა უმრავლესობა ბეჭდავს და ამის შესწავლა ყველა მოსწავლისთვის საჭიროა. ახალი კანონი კი ყველა ბავშვს მისცემს საშუალებას, კარგად ბეჭდვა ისწავლოს, — აცხადებენ განათლების ფინელი მესვეურები.

ქალებს ექიმები და არქიტექტორები იზიდავს

ერთ-ერთი საქორწინო სააგენტოს თანამშრომლებმა გამოკითხვა ჩაატარეს იმის გასარკვევად, რა პროფესიის კაცები იზიდავს ყველაზე მეტად. აღმოჩნდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ჟურნალისტები და ადვოკატები მოსწონთ, მანდილოსნები კი უპირატესობას ექიმებსა და არქიტექტორებს ანიჭებენ. ორივე სქესის წარმომადგენელთა არჩევანი ერთ ფაქტზე მიუთითებს: მათი რჩეული დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანი უნდა იყოს. მამაკაცებს ასეთებად ადვოკატები და მედიის წარმომადგენლები მიაჩნიათ, ასევე მოსწონთ დიზაინერები, პიარ-მენეჯერები, ფოტოგრაფები, რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტები. მშვენიერ სქესს ცოტა სხვანაირი შეხედულება აღმოაჩნდა, მათ ყველაზე მეტად მედიცინის მუშაკები და არქიტექტორები აღაფრთოვანებს, მოსწონთ ასევე შემოქმედებითი ადამიანები, ინჟინრები, რეჟისორები, მეცნიერები, დიზაინერები, ეკოლოგები და მეწარმეები.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	2	7	4	8	3	9	6	5
6	9	5	2	1	7	4	8	3
4	8	3	5	9	6	2	1	7
8	1	4	9	3	5	7	2	6
7	6	2	1	4	8	5	3	9
5	3	9	7	6	2	8	4	1
3	4	8	6	7	9	1	5	2
2	7	1	3	5	4	6	9	8
9	5	6	8	2	1	3	7	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	5	6	1	7	4	9	3	8
9	1	8	3	6	2	7	5	4
3	7	4	9	5	8	6	2	1
6	4	5	2	3	1	8	7	9
1	9	3	8	4	7	5	6	2
8	2	7	6	9	5	4	1	3
5	8	2	7	1	9	3	4	6
7	3	9	4	2	6	1	8	5
4	6	1	5	8	3	2	9	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	8	5	7	4	2	3	9	1
2	9	1	8	3	6	7	4	5
7	4	3	5	1	9	2	6	8
8	7	2	9	6	5	4	1	3
3	6	4	2	8	1	5	7	9
5	1	9	4	7	3	8	2	6
9	5	8	1	2	7	6	3	4
4	3	7	6	9	8	1	5	2
1	2	6	3	5	4	9	8	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	8	1	3	7	4	6	5	2
3	7	6	5	2	1	4	9	8
5	2	4	9	8	6	7	3	1
2	6	3	1	9	8	5	4	7
1	9	5	4	3	7	2	8	6
7	4	8	6	5	2	3	1	9
6	1	9	2	4	5	8	7	3
8	5	2	7	1	3	9	6	4
4	3	7	8	6	9	1	2	5

მე-10 გვერდი: 1. მასტიკა; 2. სეპტიმა; 3. მენდელსონი; 4. „სიტროენი“; 5. იამბი; 6. ავაზა; 7. სეკანსი; 8. პეპი; 9. იულონი; 10. ანონსი; 11. ანატომია; 12. რაული; 13. ტრილიონი; 14. კომბალი; 15. აკაპულკო; 16. გევარა; 17. ავრალი; 18. სონა; 19. ეროტიკა; 20. გნუ; 21. რელე; 22. რეალი; 23. იაუზა; 24. სერვიზი; 25. სუნიზმი; 26. რევიუ; 27. არტალა; 28. ენი; 29. ბარაკონი; 30. ავი; 31. წიწილა; 32. ლილო; 33. უატი; 34. კონდახი; 35. ნინია; 36. ლერწამი; 37. ოთხი; 38. ოლქი; 39. ბოულზი; 40. ნინევია; 41. იეტი; 42. აბრა; 43. აის; 44. უტ; 45. დუნაი; 46. როდ; 47. ხორცი; 48. თარაზო; 49. ცია; 50. ბაია; 51. სი; 52. აღაზა; 53. ლემი; 54. წილი; 55. კაა; 56. ხათუსა; 57. პა; 58. ტოლჩა; 59. ცერბერი; 60. ქორი; 61. ასაკი; 62. ეთანი; 63. აღუ; 64. პიკი; 65. ირიდა.

მე-12 გვერდი: 1. ბოსელი; 2. იპრიტი; 3. ოფორტი; 4. ეროზია; 5. პიკადორი; 6. იდეალი; 7. მოლოხი; 8. ერეკლე; 9. არიეტა; 10. სკვერი; 11. იშიასი; 12. ბოლიდი; 13. პარისი; 14. ოში; 15. აბრისი; 16. ქირა; 17. კრონოსი; 18. ოპერატორი; 19. კარგო; 20. სამაია; 21. ერნესტო ჩე გევარა; 22. აკვარელი; 23. რევანში; 24. რაკურსი; 25. „დდტ“; 26. ანორაკი; 27. ირაო; 28. რუანდა; 29. აგრიპინა; 30. მანდელა; 31. ერე; 32. ათრაქა; 33. ლილახანა; 34. დონ; 35. მიიო; 36. ფოსტალა; 37. არესი; 38. პლისეცკაია; 39. ტრემბიტა; 40. შოუ; 41. ოხრა; 42. რიკოშეტი; 43. არარატი; 44. ლეოქარი; 45. მანე; 46. ნოა; 47. კარია; 48. ქაოსი; 49. ენდემი; 50. დრეიკი; 51. ემპათია; 52. იბსენი; 53. ეჩო; 54. კუ; 55. ებანი; 56. აკნე; 57. ორლი; 58. ეკო; 59. რვა; 60. ზამბარა; 61. იოსები; 62. იაიკი; 63. დემი; 64. მაორი; 65. შაორი; 66. გერილია; 67. აგნი; 68. ზარდახშა; 69. სტელა; 70. მექა; 71. ტიერი; 72. ვირი; 73. პიანინო; 74. ინია; 75. ბუკია; 76. პაი; 77. პონი; 78. ალაო; 79. ინი; 80. „არმინია“; 81. პიპია; 82. კოპრა.

1. ფშავ-ხევსურეთის ისტორიული სახელწოდება
2. დიდი ზომის ფოთოლმცვივანი ხე
3.სამეგრელოსა და აფხაზეთის სასაზღვრო მდინარე
4. „უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური
5. თივის ასაღები სამუშაო იარაღი
6. „ჰამლეტის“ პერსონაჟი
7.მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
8.აპრილის ძველქართული სახელწოდება
9.მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგ.
10. წყლის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო
11. მონადირეთა „საოცნებო“ ფრინველი
12. იგივეა, რაც პლანეტა
13. ზამბიის სიდიდით მე-2 ქალაქი
14. კოვბოების შეკვიბრება ოსტატობაში
15. მღვდლის სამოსელის ნაწილი
16.რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი
17.ძირითა-დი აზრი, რაობა
18.ნიკოლოზ ნოსოვის ზღაპრების პერსონაჟი
19. ნიკანდრო ... „დათა თუთაშხიაში“
20.მომკილი თავთავის კონა
21. იგივეა, რაც ჭიკარტი
22. წინაპარ-თაგან დამ-კვიდრებული ჩვეულება
23. ლევ ტოლსტოის „... და მშვიდობა“
24.ლუდსახარში კომპანია
25.დელფინის „ნათესავი“
26. ამერიკელი მსახიობი სტივენ ...
27. აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი
28. თანამედროვე კანადელი მომღერალი
29.პატარა ტანის და გამხდარი კაცი
30. ჰერაკლეს დედა
31. სიტყვათა წარმოთქმის მანერა
32. სინამდვილის მსატვრული ასახვის ფორმა
33. უმაღლესი დიპლომატიური რანგი
34. პატარა ტყე მინდორში
35. „როკ-ენ-როლის მეფე“
36. იშვიათი წიგნი, საგანი, უძვირფასესი ეგზემპლარი
37. იაპონური საათების ფირმა
38. დათა თუთაშხიას და
39. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
40.სასმისი, რომელიც იყმომ საიდ. სერობისას გამოიყენა
41. თავაშვებული ქეიფი, ღრეობა
42. კეთილშობილი ლითონი
43. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
44. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
45. ვალტერ სკოტის რომანი
46. ქალაქი საბერძნეთში
47. პლანეტის თანამგზავრი
48. ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება
49. ავტოდრომით განთქ. ქალაქი იტალიაში
50.პატარა ხანჯალი სამწახნაგოვანი პირით
51. რუმინელი ფეხბურთელი ადრიან ...
52. პოპულარული შვედური კვარტეტი
53. კომბლეს ძროხა მულტფილმში
54.ცხოველთა თავდაცვითი შეგუების ფორმა
55. სახის ზედა ნაწილი
56. ავი სული, სატანა
57. ორსული საქონელი
58. მგალობელი ფრინველი
59. დათა თუთაშხიას სამოქალაქო ფსევდონიმი
60. ევკალიპტის დათვი
61. ვნეციელი მაგრი
62. სამაგიდო თამაში
63. ლითონის საჟღარუნებელი
64. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი
65.აპო-ლონის და არტემიდეს დედა
66. სატრანსპ. საშუალებათა ტვირთმზიდაობა
67. ძველი ბერძენი
68.გიორგი საკაძის მშობლიური სოფელი
69.მარნის პატრონის „ღვინის ქურდებში“
70. მდინარე აზიაში
71. შლამის თევზი
72.ვაზების მწკრივი ვენახში
73. სატელეფონო „სიტყვა“
74. მწვავე სუნის მქონე უფერული გაზი
75. წამოძახილი ბანქოს ზოგიერთ თამაშში
76. ყატარის დედაქალაქი
77.ინგლისის სტადიონი „...-ტრა-ფორდი“
78. იგივეა, რაც შუმა
79.ზრდილობ. მიმართვის ფორმა იაპონიაში
80. ბუსნაირთა რიგის ფრინველი, ე.წ. ყურებიანი ბუ
81. თურქული მარგარინის მარკა
82. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
83. მცენარის ბუტკოს ქვედა გაფართოებული ნაწილი
84. პოეტური გამოცანა
85. სოფელი სტეფანწმინდის რაიონში
86. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში

ავტომობილიც დაბეჭდეს

ამერიკული კომპანია Local Motors-ის ინჟინრებმა, მსოფლიოში პირველად, ავტომობილი სამგამზომილებიან პრინტერზე დაბეჭდეს და ახალ ავტოს Strati-EV უწოდეს. მანქანა სულ რაღაც ექვს დღეში შეიქმნა ჩიკაგოში გამართული ტექნოლოგიური გამოფენისთვის. ავტომობილის ნაწილების 95% 3D-პრინტერზეა დაბეჭდილი. მიუხედავად მანქანის გარეგნობისა, რომელიც ცოტა არ იყოს, სათამაშოს წააგავს, ნიმუში სრულიად ფუნქციურია. მას შეუძლია საათში 80 კილომეტრი სიჩქარე განავითაროს. სამგანზომილებიან პრინტერს სულ 45 საათი დასჭირდა, ავტომანქანის ყველა ნაწილი რომ დაებეჭდა. სპეციალური პლასტმასი კი, რომლითაც შეიქმნა მანქანა, სიმტკიცით მეტალს არ ჩამოუვარდება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.